

ქართულ ენაში  
მომზადების ერთწლიანი  
პროგრამის ეფექტურობის  
კვლევა





პუბლიკაცია მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერების და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში.

პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრს“ და არ უნდა აღიქმებოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალური პოზიციად.

ავტორები: შალვა ტაბატაძე  
ნათია გორგაძე

# ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა

რედაქტორი: კახა გაბუნია

პროექტის მენეჯერი: ლენა ჯაჯანიძე

მონაცემთა დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი:

მარიამ ქართველიშვილი

თამარ ანთაძე

ქეთევან ჯაჭვამე

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების  
ცენტრი

ISBN 978-9941-0-9367-8

თბილისი 2016

# შინაარსი

---

|   |     |
|---|-----|
| შესავალი .....  | 5   |
| თავი 1. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში ..... | 7   |
| „საშეღავათო პოლიტიკა“ უმაღლესი განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.....              | 8   |
| თავი 2. კვოტირების სისტემა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა .                                 | 16  |
| ზოგადი დემოგრაფიული და ენობრივი მდგომარეობა საქართველოში.....                                       | 16  |
| კვოტირების სისტემა და მისი შემოღებიდან დღემდე არსებული მდგომარეობა.....                             | 18  |
| უმაღლესში ჩარიცხვისა და სწავლის მიტოვების მაჩვენებლები.....   | 19  |
| თავი 3. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ხარვეზები .....                                 | 35  |
| თავი 4. სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი .....   | 40  |
| მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი .....  | 40  |
| კვლევის მონაწილეთა შერჩევა.....   | 41  |
| გამოკითხვის შედეგები.....   | 43  |
| ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არჩევის წინაპირობები .....                              | 44  |
| ქართული ენის ცოდნის შეფასება.....   | 50  |
| სასწავლო გარემოთი და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა .....   | 67  |
| მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება.....   | 74  |
| გამოყენებული სწავლების სტრატეგიებისა და მიდგომების შეფასება .....                                   | 77  |
| არასასწავლო, კლასგარეშე და საინტეგრაციო აქტივობები .....  | 88  |
| პროგრამის ადმინისტრირება და სტუდენტების მხარდაჭერის სისტემა .....                                   | 98  |
| პროგრამის ზოგადი შეფასება.....  | 102 |
| დასკვნა.....  | 103 |

|  |     |
|--|-----|
| სარეკომენდაციო ნაწილი.....   | 105 |
| ზოგადი რეკომენდაციები .....  | 105 |
| სწავლა-სწავლებისა და შეფასების ენობრივი ასპექტები წინასაპროგრამო და<br>პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში..... | 106 |
| სასწავლო რესურსები .....   | 106 |
| პედაგოგიური კადრების განვითარება .....   | 107 |
| სტუდენტთა მხარდაჭერა და პროგრამის ადმინისტრირება .....   | 108 |
| კლასგარეშე აქტივობები .....  | 108 |
| ცხრილები და გრაფიკები .....  | 111 |
| ცხრილები .....   | 111 |
| დიაგრამები.....  | 114 |
| გამოყენებული ლიტერატურა .....  | 109 |
| დანართები.....   | 116 |
| დანართი 1:.....  | 116 |

# შესავალი

---

თანაბარი შესაძლებლობების შექმნა უმაღლესი განათლების მისაღებად ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. 21-ე საუკუნეში ეს საკითხი უფრო აქტუალური გახდა. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლები და განათლების პოლიტიკის გამტარებლები სხვადასხვა სახელმწიფოში ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. როგორც გუფთა (2006) აღნიშნავს, ელიტარულიდან მასობრივ უმაღლეს განათლებაზე გადასვლის პირობებში, უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ, ერთი მხრივ, სწავლების ხარისხი, ხოლო, მეორე მხრივ - უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და თანასწორობა ყველასათვის. საშედავითო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს უმცირესობებისთვის შეღავათიანი პირობების შექმნას მისაღებ გამოცდებზე, არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი „თანასწორობის“ მისაღწევად უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა ეს პოლიტიკა მკვეთრი დებატების მიზეზი გახდა განათლების პოლიტიკის სფეროში (შმიტი, 2001).

უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შეღავათიანი სისტემა არაერთ სახელმწიფოში მოქმედებს. ლეჰმიულერი და გრეგორი (2003) გვთავაზობენ გოლმანის მიერ ჩამოყალიბებულ საშედავითო პოლიტიკის ოთხ ტიპს: წარსულზე ორიენტირებული, მომავალზე ორიენტირებული, ძლიერი უკუდისკრიმინაცია და სუსტი უკუდისკრიმინაცია. (ა) წარსულზე ორიენტირებული ქმედება აღიარებს უმცირესობათა მიმართ წარსულში არსებულ დისკრიმინაციას და სთავაზობს შეღავათიან

პირობებს მისაღები გამოცდებისას, რათა ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრას წარსული დისკრიმინაცია. (ბ) მომავალზე ორიენტირებული ქმედება კი, ერთი მხრივ, აღიარებს წარსულ დისკრიმინაციას, თუმცა, მეორე მხრივ, ამბობს, რომ მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია როგორც უმცირესობებისთვის, ასევე უმრავლესობისთვის და სწორედ მრავალფეროვნების შესაქმნელად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხელს უწყობს უმცირესობათა წარმომადგენლების შეღავათიან პირობებში ჩარიცხვას. (გ) სუსტი უკუდისკრიმინაცია პრივილეგიას ანიჭებს უმცირესობის წარმომადგენელ იმ კანდიდატებს, რომლებსაც ისეთივე კვალიფიკაცია აქვთ, როგორც უმრავლესობის კანდიდატებს. (დ) ძლიერი უკუდისკრიმინაციის პირობებში, უმცირესობის აბიტურიენტს ენიჭება უპირატესობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი კვალიფიკაცია ნაკლებია უმრავლესობის ჯგუფის აბიტურიენტის კვალიფიკაციაზე.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა საქართველოში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ „საქართველოს გაეროს ასოციაციის“ „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერების და ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ფინანსდება „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ მიერ და რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში განხორციელებული ეთნიკური უმცირესობებისთვის მისაღებ გამოცდებზე კვოტირების სისტემის საფუძველზე შემუშავებული ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შესახებ სტუდენტთა აღქმებისა და დამოკიდებულებების შეფასებას.

## თავი 1. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას არსებული საშეღავათო პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში

---

2005 წლის რეფორმამდე მისაღები გამოცდების ადმინისტრირებას მთლიანად უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებდნენ; 2005 წლიდან შემუშავდა სტანდარტული და უნარ-ჩვევების ტესტირებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი სისტემა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს წარმოდგენილი საგანმანათლებლო რეფორმა მიზნად ისახავდა ყველა აბიტურიენტისათვის თანაბარი პირობების შექმნას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში, რომლის მიხედვითაც ყველა აბიტურიენტი ვალდებული გახდა ჩაებარებინა სამი აუცილებელი ტესტი: **ქართულ ენაში**, **ზოგად უნარ-ჩვევებში** (ქართულ ან რუსულ ენაზე) და **უცხო ენაში**. რეფორმის პირველი წელი საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისთვის. მაგალითად, 2005 წელს ახალქალაქიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 2 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ნინოწმინდიდან – 1 და მარნეულიდან – 17. ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამდე გამოცდების შედეგად



უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ აბიტურიენტთა რაოდენობაზე (ტაბატაძე, 2009).

საქართველოს მთავრობამ ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველივე წლიდან დაიწყო „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებისთვის, თუმცა 2005-2010 წლებში მუდმივად იცვლებოდა ამ პოლიტიკის ფორმები, მეთოდები და მიდგომები (ტაბატაძე და გორგაძე, 2014).

## **„საშეღავათო პოლიტიკა“ უმაღლესი განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით**

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43.1-ე მუხლი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას უნივერსიტეტიდან ან სხვა წყაროებიდან, ისევე, როგორც ფინანსურ და მატერიალურ დახმარებებს. ხელისუფლება ფინანსურად გაჭირვებული სტუდენტებისათვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებს განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 6.1.გ და 52.8). სოციალური პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული იყო 2005-2009 წლებში არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა დაფინანსებაც. სახელმწიფო 15 სტუდენტს აფინანსებდა ქვემო ქართლიდან, 15-ს – ჯავახეთიდან და 10-ს – თბილისიდან - სოციალური პროგრამის ფარგლებში (ტაბატაძე, 2009).

2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ნეგატიური ეფექტების შესამცირებლად განათლებისა და მეცნიერების

სამინისტრომ გარკვეულწილად შეცვალა „საშეღავათო პოლიტიკის“ ფორმები და დაფინანსების გარდა, საშეღავათო პოლიტიკის სხვა ელემენტებიც შესთავაზა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებს. კერძოდ, 2006 წელს ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და აბიტურიენტებს ეძლეოდათ უფლება, ზოგადი უნარების ტესტი, უცხო ენებისა და არჩევითი საგნების ტესტირება რუსულ ენაზე გაეკლოთ. „საშეღავათო პოლიტიკის“ ნაწილი გახლდათ აგრეთვე 2006 წლიდან მოსამზადებელი კურსების ორგანიზება ნინოწმინდისა და ახალქალაქის ენის სახლებში ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამონაწილეობით.

2006 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ქვემო ქართლიდან 25 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ხოლო ჯავახეთიდან ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა. თუმცა, 2007 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ კვლავ იკლო, რაც ძირითადად განპირობებული იყო ახალქალაქში თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალისთვის აკრედიტაციის გაუქმებით. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საშეღავათო პოლიტიკის უფრო ეფექტური მექანიზმების ამუშავება (ტაბატაძე და გორგაძე, 2014).

შესაბამისად, 2008 წლიდან განათლების და მეცნიერების სამინისტრო უფრო მკვეთრ ნაბიჯებზე წავიდა, რათა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა ხელშეწყობა მომხდარიყო. კერძოდ, ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ამასთანავე, მათთვის აქტიურად გაგრძელდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი შესაბამისი პროგრამის განხორციელება, რომელსაც უკვე უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებდა სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში. მნიშვნელოვანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ჯავახეთის კოლეჯის დაფუძნება და აკრედიტაცია. 2008 წელს ზოგადი განათლების რეფორმიდან გამომდინარე, ქართულენოვან სკოლებს არ ჰყავდათ კურსდამთავრებულები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შანსები. ზემოთ მითითებული კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობამ გაზარდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 2008 წელს დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა. მაგალითად, სომხურ ენაზე უნარების ტესტირება გაიარა 113-მა აბიტურიენტმა და აქედან 46 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი (40,7%), ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტი

ჩააბარა 250-მა აბიტურიენტმა, თუმცა მათგან მხოლოდ 29 გახდა სტუდენტი (11,6%). სტატისტიკური მონაცემებითაც ნათელია, რომ უნარების ტესტების მშობლიურ ენაზე ჩაბარების პოლიტიკამ გაზარდა ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ჩამბარებელთა რაოდენობაც და ჩარიცხულთა რაოდენობაც (განსაკუთრებით - სომხურენოვანი აბიტურიენტების). 2009 წელს არაქართულენოვან სკოლებს კურსდამთავრებულები არ ჰყოლიათ, შესაბამისად, აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ, ორი წლის განმავლობაში უკეთესად მომზადებულიყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის (ტაბატაძე და გორგაძე, 2014).

როგორც უკვე აღინიშნა, 2005 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად საშეღავათო პოლიტიკის სხვადასხვა ფორმასა და მექანიზმებს მიმართავდა, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა ეს ვერ აღმოჩნდა გარდამტეხი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისა და მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მკვეთრად გასაზრდელად. 2005-2009 წლის ერთიან ეროვნული გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა, „საშეღავათო პოლიტიკის“ ყველაზე რადიკალური ფორმისთვის, „კვოტირების სისტემის“ შემოღებისთვის მიემართა. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, დადგინდა იმ სტუდენტთა

კვოტა, რომლებიც გაივლიდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. განისაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებდა სტუდენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, სტუდენტთა ჩასარიცხად გამოაცხადებდა ვაკანსიებს - ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ის, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის - 1-1%-ის რაოდენობით (მუხლი 52.51). ამასთანავე, შესაბამის წელს დარეგისტრირებულ და ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელი ხდებოდა პროცენტული გადანაწილებების შეცვლა მათი ჯამის ფარგლებში.

აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების ჩარიცხვის აღნიშნული წესი ძალაში უნდა შესულიყო 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან (მუხლი 90.23), თუმცა ძალაში შესვლის თარიღმა რანდენჯერმე გადაიწია (2015 წლიდან ამოქმედდა აფხაზურენოვანი, ხოლო 2016 წლიდან - ოსურენოვანი

ტესტირების სისტემა), ხოლო ტესტირება აფხაზურენოვანტათვის ტარდებოდა რუსულ ენაზე.

კვოტირების სისტემის შემოღება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით განისაზღვრა, როგორც დროებითი პოლიტიკა, და მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლიდან 2018-19 სასწავლო წლის ჩათვლით (მუხლი 90.25).

ამასთან, დადგინდა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილების ზემოაღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი არ შევიდოდა აკადემიური უმაღლესი და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე / პროგრამებზე განსაზღვრულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

ახალი ინიციატივის მიხედვით, შემოვიდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 52.5), რომლითაც ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) შეძენა ქართულ ენაში იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის / ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის

გასაგრძელებლად. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შექმნას.

2009 წლის 19 ნოემბერს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, საქართველოს ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას, დაევალოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე იმ სტუდენტთა მიღება, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება, დაედგინა სახელმწიფო სასწავლო გრანტის დაფინანსების მოცულობა და ოდენობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მუხლი 6.1.გ2).

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს სწავლის გაგრძელების უფლება მიეცა ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის / ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით მხოლოდ ქართულ ენაზე.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი (მუხლი 473.2) და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. ქართულ ენაში

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამების აკრედიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია ზოგიერთ უნივერსიტეტში უნდა განხორციელებულიყო 2016 წელს, თუმცა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით, პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადამ გადაიწია.



## თავი 2. კვოტირების სისტემა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

---

### ზოგადი დემოგრაფიული და ენობრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა: მისი მოსახლეობის 13,2%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არიან განსახლებულნი. კომპაქტურად მცხოვრებ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს ორი დიდი - აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ეთნოსი, რომელთა საერთო რაოდენობა 10,8%-ს აღწევს. მათ გარდა, დისპერსიულად განსახლებულია სხვა ეთნიკური ჯგუფებიც: რუსები, ოსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, ებრაელები, ასირიელები, უდიები, აგრეთვე ჩრდილო-კავკასიელი ხალხები: ქისტები, ჩეჩნები, დაღესტნელები, ყაზარდოელები, ჩერქეზები და სხვა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა იძლევა ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობრივ და პროცენტულ მონაცემებს (ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მაცხოვრებელთა გამოკლებით).

ცხრილი 1: მოსახლეობის ეთნიკური განაწილება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის შედეგები-ს მიხედვით:

| ეროვნება           | რაოდენობა<br>(ათასი კაცი) | პროცენტული<br>გადანაწილება |
|--------------------|---------------------------|----------------------------|
| სულ მოსახლეობა     | 3 713,8                   | 100,0                      |
| ქართველი           | 3 224,6                   | 86,8                       |
| აზერბაიჯანელი      | 233,0                     | 6,3                        |
| სომეხი             | 168,1                     | 4,5                        |
| რუსი               | 26,5                      | 0,7                        |
| ოსი                | 14,4                      | 0,4                        |
| იეზიდი             | 12,2                      | 0,3                        |
| უკრაინელი          | 6,0                       | 0,2                        |
| ქისტი              | 5,7                       | 0,2                        |
| ბერძენი            | 5,5                       | 0,1                        |
| ასირიელი           | 2,4                       | 0,1                        |
| სხვა               | 14,3                      | 0,4                        |
| უარი პასუხზე       | 0,6                       | 0,0                        |
| მითითებული არ არის | 0,5                       | 0,0                        |

ნიშანდობლივია, რომ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი კომპაქტურადაა დასახლებული საქართველოს 3 რეგიონში, კერძოდ კი, ქვემო ქართლში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 42.57%-ს შეადგენს. კახეთში, მთელი მოსახლეობის 10.2%. რაც შეეხება სომხურენოვან მოსახლეობას, ის უმეტესად წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთში (51.10%) და ასევე ქვემო ქართლში (5.17%). მათი ჩასახლების მახასიათებლები და საბჭოთა ისტორიული მემკვიდრეობა განაპირობებს, რომ 2014 წლის საყოველთაო გამოკითხვის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის 74% და სომეხი მოსახლეობის 51.3% საერთოდ ვერ ან

არასრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას, ხოლო მოსახლეობის 15.9%-ის ენობრივი სიტუაციის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი (გორგაძე, 2016).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლიდან განხორციელებული განათლების პოლიტიკის ცვლილებების შედეგად, არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობს. 2011 წლიდან საშუალო განათლების ატესტატის მოსაპოვებლად კი, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ ტესტი ქართულში, როგორც მეორე ენაში (ტაბატაძე და გორგაძე, 2014).

## კვოტირების სისტემა და მისი შემოღებიდან დღემდე არსებული მდგომარეობა

კვოტირების სისტემის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა ჩაბარების შესაძლებლობები ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. მიუხედავად ამ პოზიტიური ტენდენციისა, არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე რამდენიმე პრობლემისა თუ გამოწვევის შესახებ საუბარია შესაძლებელი: (ა) კვოტირებით ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მცირეა გამოყოფილ ადგილებთან შედარებით. დაბალი მაჩვენებლის მიზეზებია: (1) სასკოლო საატესტატო გამოცდების შედეგები; (ბ) ზოგადი უნარების გამოცდებზე ნაჩვენები დაბალი შედეგები და ზღვრის გადალახვის პრობლემა; (3) ქართული ენის

პროგრამასა და საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი. (ბ) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი უნიფიცირებული პროგრამა არაეფექტურია საკმარისი ენობრივი კომპეტენციების მისაღწევად. შევეცდებით, მოკლედ გავაანალიზოთ თითოეული საკითხი.

## უმაღლესში ჩარიცხვისა და სწავლის მიტოვების მაჩვენებლები

### *კვოტირებულ ადგილებზე ჩარიცხვის მაჩვენებლები*

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დარეგისტრირებული და მიღებული სტუდენტების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება იმ ადგილების რაოდენობას, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ არის გამოყოფილი აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის. 2010-15 წლებში, კვოტირების სისტემის დანერგვიდან დღემდე, მთლიანობაში გამოყოფილია 19 544 ადგილი სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისათვის, ხოლო ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა კი არის 3742 (რაც გამოყოფილი ადგილების 19,1 %-ს შეადგენს). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აღწერილი ტენდენცია:

**ცხრილი 2: კვორტირების პოლიტიკის ფარგლებში გამოყოფილი ადგილებისა და აქტუალური ჩაბარების მონაცემები:**

| წელი | გამოყოფილი ადგილების რაოდენობა | ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა | ათვისებული ადგილების % |
|------|--------------------------------|------------------------------|------------------------|
| 2010 | 2602                           | 301                          | 11,56%                 |
| 2011 | 2100                           | 431                          | 20,52 %                |
| 2012 | 2242                           | 584                          | 26.04%                 |
| 2013 | 3900                           | 928                          | 23.79%                 |
| 2014 | 4500                           | 698                          | 15,5%                  |
| 2015 | 4200                           | 800                          | 19,04 %                |
| სულ  | 19544                          | 3742                         | 19,1%                  |

გამოყოფილ და ათვისებულ ადგილებს შორის არსებულ დისბალანსს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა ზოგადი უნარების გამოცდებზე აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი ტესტებით გამოცდაჩაბარებული აბიტურიენტების დაბალი მაჩვენებელი ქართულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით. ზოგადი უნარების გამოცდებზე დაბალი მაჩვენებელი და ჩაჭრის მაღალი პროცენტი გახლავთ კვორტირების სისტემით ასათვისებელი ადგილების დიდი რაოდენობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. თუკი 2010-2015 წლების სტატისტიკურ მონაცემებს გავანალიზებთ, ნათელია, რომ ზოგადი უნარების გამოცდაზე საშუალოდ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების 30%-ი იჭრება. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ვიდრე ქართულენოვანი აბიტურიენტების მაჩვენებელი და ეს მაჩვენებელი განაპირობებს ჩარიცხულ აბიტურიენტთა დაბალ კომპეტენციას ზოგადად. ცხრილი 3

დეტალურად წარმოადგენს ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობას.

**ცხრილი 3: 2010-2015 წლების ზოგადი სტატისტიკა რეგისტრირებული და გამოცდაჩაბარებული სტუდენტების შესახებ:**

| *           | რეგისტრირებულია | გავიდა გამოცდაზე | გადალახა ზოგადი უნარების გამოცდის მინიმალური ბარიერი | ჩაიჭრა | ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი |
|-------------|-----------------|------------------|--|--------|---------------------------------|
| <b>2010</b> | 588             | 491              | 331  | 160    | 32.59                           |
| <b>2011</b> | 574             | 517              | 394  | 123    | 23.79                           |
| <b>2012</b> | 869             | 803              | 614  | 189    | 23.54                           |
| <b>2013</b> | 1460            | 1332             | 928  | 404    | 30.33                           |
| <b>2014</b> | 1179            | 1049             | 698  | 351    | 33.46                           |
| <b>2015</b> | 1608            | 1243             | 800  | 443    | 35.63                           |
| <b>სულ:</b> | 6278            | 5435             | 3765   | 1670   | 30.72                           |

ზოგადი უნარების გამოცდაზე არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია რამდენიმე შესაბამისი და ადეკვატური ღონისძიებების გატარება: (ა) არაქართულენოვან სკოლებში სწავლებისას უნარებზე და მათ შორის ზოგად უნარებზე აქცენტირება სწავლების პროცესში; (ბ) სკოლებში „აბიტურის“ საათების ამ მიმართულებით გაძლიერება და სკოლების დახმარების მექანიზმების ამუშავება. ეს ინტერვენციები და სხვა დამატებითი ღონისძიებები შესაძლებლობას გააჩენს, ზოგადი უნარების გამოცდაზე შემცირდეს ჩაჭრილ აბიტურიენტთა რაოდენობა, რაც, შესაბამისად, გაზრდის კვოტირებულ სტუდენტთა რაოდენობას.

ზოგადი უნარების დაბალი მაჩვენებლის გარდა, ალბათ, საინტერესოა დარეგისტრირებულთა და გამოცდაზე გასულ აბიტურიენტთა მონაცემების ანალიზიც, რომელიც ასევე საინტერესო ტენდენციას გვიჩვენებს. დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა და ამ მაჩვენებლის ზრდა მიანიშნებს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმაღლესი განათლების სურვილის ზრდაზე უმცირესობათა მხრიდან, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში პოზიტიური დინამიკაა. ამავე დროს ამ დინამიკის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად კვოტირებისა და უმაღლესში ჩარიცხვის მიღმა სხვა პოლიტიკის ინსტრუმენტების ამუშავებაა აუცილებელი. საინტერესო ტენდენციის დანახვაა შესაძლებელი სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლისა და გამოცდების ჩაბარების თვალსაზრისითაც:

**ცხრილი 4: სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა (2010-2015 წწ)**

| წელი        | სომხურენოვანი აბიტურიენტები |                    |                                | აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები |                    |                                |
|-------------|-----------------------------|--------------------|--------------------------------|-----------------------------------|--------------------|--------------------------------|
|             | რეგისტრაცია                 | გამოვიდა გამოცდაზე | გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში | რეგისტრაცია                       | გამოვიდა გამოცდაზე | გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში |
| <b>2010</b> | 253                         | 188                | 137                            | 335                               | 303                | 194                            |
| <b>2011</b> | 254                         | 216                | 172                            | 320                               | 301                | 222                            |
| <b>2012</b> | 290                         | 262                | 207                            | 579                               | 541                | 407                            |
| <b>2013</b> | 271                         | 249                | 191                            | 1189                              | 1083               | 737                            |
| <b>2014</b> | 345                         | 307                | 219                            | 834                               | 742                | 479                            |
| <b>2015</b> | 427                         | 355                | 244                            | 1181                              | 888                | 556                            |
| <b>სულ:</b> | 1840                        | 1577               | 1170                           | 4438                              | 3858               | 2595                           |

*გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი*

წარმოდგენილი ცხრილი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობაზე და იძლევა ანალიზის საშუალებას. 2010-2015 წლებში მკვეთრად გაიზარდა როგორც აზერბაიჯანულენოვანი, აგრეთვე სომხურენოვანი დარეგისტრირებული და ჩარიცხული აბიტურიენტების რაოდენობა. მიუხედავად ამისა ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავებებია, როგორც რაოდენობების, აგრეთვე ზრდის დინამიკის თვალსაზრისით. 2010-2015 წლებში დარეგისტრირებულ აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა რაოდენობამ 4438 შეადგინა, ხოლო ჩარიცხულთა 2595, იმ დროს როცა სომხურენოვან დარეგისტრირებულთა რაოდენობა აზერბაიჯანულენოვანთან შედარებით 59%-ით ნაკლებია. ანალოგიური ვითარებაა ჩარიცხულთა რაოდენობასთან დაკავშირებითაც. ჩარიცხული აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები 55%-ით სჭარბობენ სომხურენოვან აბიტურიენტებს. ამავე კონტექსტში საინტერესოა რაოდენობის ზრდის ტენდენციაც. 2010 წელთან შედარებით, უკვე 2015 წლის მონაცემებით, ჩაბარების მსურველ აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა 3,5 ჯერ გაიზარდა (335 – 2010 წელი; 1181 – 2015). იმ დროს, როცა ჩაბარების მსურველი სომხურენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა 2010 წელთან შედარებით 2015 წელს მხოლოდ 1,7 ჯერ გაიზარდა (235 – 2010; 427 – 2015). აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა აჭარბებს სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას (შესაბამისად, უშუალოდ მე-12 კლასელთა რაოდენობრივი შეფარდებაც ასეთივეა). ცხადია, სომხურენოვანი



აბიტურიენტების სიმცირე აზერბაიჯანულენოვნებთან შედარებით ამ ფაქტითაც არის გამოწვეული, თუმცა მხოლოდ მოსწავლეთა და უფრო კონკრეტულად კი - მე-12 კლასელ მოსწავლეთა რაოდენობა მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის სომხურენოვანი აბიტურიენტების სიმცირეს; ამ ფაქტორით ვერ აიხსნება ზრდის ტენდენციებს შორის არსებული განსხვავება... ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია განსხვავება აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი სკოლის მოსწავლეთა, ისევე როგორც მე-12 კლასელი მოსწავლეთა რაოდენობაში:

**ცხრილი 5: მოსწავლეთა რაოდენობა არაქართულენოვან სკოლებში**


|  | <b>2012-2013</b> | <b>მე-12 კლასელი (2012-2013)</b> | <b>2013-2014</b> | <b>მე-12 კლასელთა რაოდენობა 2013-2014</b> |
|--|------------------|----------------------------------|------------------|---|
| <b>აზერბაიჯანულენოვანი</b>             | 26918            | 1382                             | 26860            | 1304                                      |
| <b>სომხურენოვანი</b>                   | 14242            | 900                              | 14258            | 874                                       |
| <b>რუსულენოვანი/მათ შორის შერეული)</b> | 13946            | 857                              | 13846            | 833                                       |
| <b>სულ:</b>                            | <b>55106</b>     | <b>3139</b>                      | <b>54964</b>     | <b>3011</b>                               |

წარმოდგენილი სტატისტიკა მიუთითებს სომხურენოვანი აბიტურიენტების მოზიდვის პერსპექტივას. ამ თვალსაზრისით, გარკვეული ღონისძიებების გატარება დაიწყო 2014 წლიდან (CCIIR წლიური ანგარიში, 2014, 2015) და გარკვეული შედეგები 2014 წლიდან დღემდე თვალსაჩინოა. შესაბამისად, არსებული სტატისტიკა და სომხურენოვანი აბიტურიენტების რაოდენობის ზრდა 2014 წლიდან მიუთითებს ამ მხრივ არსებულ პერსპექტივებზე დამატებითი

ლონისძიებების პირობებში ამ მიზნობრივი ჯგუფის სტუდენტების რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემი ეფუძნება რაიონების მიხედვით წარმოდგენილ არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებისა და დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობას. ამ კონტექსტში საინტერესო იყო სტატისტიკის ანალიზი რაიონების მიხედვით: (1) რომელ რაიონებშია გამორჩეულად ზრდა დარეგისტრირებული და ჩარიცხული აბიტურიენტების თვალსაზრისით; (2) რომელ რაიონებშია მაღალი მოსწავლეთა რაოდენობის და ამ მოსწავლეთაგან უმაღლესში ჩამბარებელთა ხვედრითი წილი და არსებობს თუ არა რაიმე ტიპის განსხვავება ამ თვალსაზრისით რაიონების მიხედვით. სტატისტიკურმა ანალიზმა შემდეგი სურათი გვიჩვენა:

**დიაგრამა 1: აბიტურიენტების გადანაწილება 2014 და 2015 წლებში რაიონების მიხედვით**



სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ყველა რაიონში რეგისტრირებულთა რაოდენობა იზრდება. მატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა

ბოლნისის, დმანისის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში. მსურველთა რაოდენობის ზრდა ძალიან მცირეა ნინოწმინდის, წალკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში. თუ უფრო ღრმად ჩავყვებით ანალიზს, თვალსაჩინოა, რომ მსურველთა ყველაზე ნაკლები პროცენტი ახალქალაქის რაიონში ფიქსირდება. რაოდენობრივი თვალსაზრისით, ახალქალაქისა და ნინოწმინდიდან აბიტურიენტთა რაოდენობა თითქმის უთანაბრდება ერთმანეთს, ხოლო ამ რაიონებში სკოლების და კურსდამთავრებულთა შეფარდებით ახალქალაქის რაიონი სულ მცირე ორჯერ ჭარბობს ნინოწმინდის რაიონს, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალქალაქის რაიონის მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნისა და დმანისის რაიონებთან შედარებაზე. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ დიდი რესურსია ახალქალაქის რაიონში, ამ რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდად და, შესაბამისად, მომავალი საქმიანობაც, შესაძლებელია, ამ ფაქტორის გათვალისწინებით დაიგეგმოს.

მსურველთა და ჩარიცხულთა დაბალი მაჩვენებელი გამოყოფილ ადგილებთან შედარებით გამოწვეულია საატესტატო გამოცდების შედეგებითაც. საატესტატო გამოცდები გვიჩვენებს, რომ ჩაჭრილ მოსწავლეთა რაოდენობა არაქართულენოვანი სკოლებიდან საკმაოდ მაღალია: თუ ავიღებთ 2014 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებს ქართულენოვან და არაქართულენოვან მე-11 კლასელებში, ცალსახაა ჩაჭრილთა მაღალი მაჩვენებელი არაქართულენოვან სკოლებში:

ცხრილი 6: 2014 წელს გამოცდაზე ჩაჭრილთა რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით (გამოცდებისა და შეფასების ცენტრი, 2014)

| საგანი    | არაქართულენოვან სკოლებში გამოცდაზე გასულ მოსწავლეების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა, ვინც გამოცდა ჩააბარა | არაქართულენოვან სკოლაში 2014 წელს სკოლამდინდარეზულტი და 2015 წელს გამოცდაჩაბარებული მოსწავლეების რაოდენობა | არაქართულენოვან სკოლებში ჩაჭრილ მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა | ქართულენოვან სკოლებში ჩაჭრილ მოსწავლეთა რაოდენობა |
|-----------|---|--|--|---|---|
| გეოგრაფია | 2486  | 2064   | 422  | 17.0 %  | 1.50%   |
| ბიოლოგია  | 2690  | 2063   | 627  | 23.3%   | 3.6%  |
| ფიზიკა    | 2921  | 2060   | 861  | 29.5%   | 6.6%  |

ანალოგიური მდგომარეობაა 2016 წლის მონაცემებითაც. 2016 წელს საატესტატო გამოცდაზე ჩაჭრილთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა ის განსაკუთრებით მაღალი იყო ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, იმ რეგიონებში სადაც სწორედ არაქართულენოვანი სკოლებია განთავსებული.

ცხრილი 7: 2016 წლის საატესტატო გამოცდები რეგიონების მიხედვით

|          | ჩაიჭრა | ჩააბარა | სულ   | ჩაჭრილთა %   | ჩამბარებელთა % |
|----------|--------|---------|-------|--------------|----------------|
| აფხაზეთი | 86     | 166     | 252   | 34,12        | 65,88          |
| აჭარა    | 1456   | 3424    | 4880  | 29,836       | 70,164         |
| გურია    | 458    | 903     | 1361  | 33,652       | 66,348         |
| თბილისი  | 1216   | 11510   | 12726 | <b>9,555</b> | 90,445         |
| იმერეთი  | 2006   | 4987    | 6993  | 28,686       | 71,314         |
| კახეთი   | 1216   | 2426    | 3642  | 33,388       | 66,612         |

|                                |       |       |       |               |        |
|--------------------------------|-------|-------|-------|---------------|--------|
| მცხეთა მთიანეთი                | 304   | 774   | 1078  | 28,2          | 71,8   |
| რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | 104   | 292   | 396   | 26,263        | 73,737 |
| სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი      | 1109  | 2787  | 3896  | 28,465        | 71,535 |
| სამცხე-ჯავახეთი                | 925   | 1469  | 2394  | <b>38,64</b>  | 61,362 |
| ქვემო ქართლი                   | 1698  | 2947  | 4645  | <b>36,555</b> | 63,445 |
| შიდა ქართლი                    | 980   | 2374  | 3354  | 29,219        | 70,781 |
| სულ                            | 11558 | 34059 | 45617 | 25,337        | 74,663 |

რეგიონალურ ჭრილში განსხვავებები იმდენად მკვეთრი არ ჩანს, რადგან ის დაბალანსებულია ქართულენოვანი სკოლის შედეგებით, მაგალითად ვითარება მკვეთრად მძიმე იქნებოდა, თუ ქვემო ქართლის რეგიონს გამოვაკლებდით ქალაქ რუსთავის სკოლების მონაცემებს, სადაც არაქართულენოვანი სკოლები თავმოყრილი არ არის.

ცხრილი 8: 2016 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები ქვემო ქართლში რუსთავის გარეშე, რუსთავისა და მარნეულში

|                                   | ჩაიჭრა | ჩააბარა | სულ  | ჩაჭრილთა<br>% | ჩამბარებელთა<br>% |
|-----------------------------------|--------|---------|------|---------------|-------------------|
| ქვემო ქართლი<br>(რუსთავის გარეშე) | 1551   | 1730    | 3281 | <b>47,3%</b>  | 52,7%             |
| რუსთავი                           | 147    | 1217    | 1364 | 10,8%         | 91,2%             |
| მარნეული                          | 621    | 563     | 1184 | <b>54,4%</b>  | 45,6%             |

საატესტატო გამოცდების ნეგატიურ შედეგზე მიუთითებს მსურველ და ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობას შორის სხვაობა. წლების მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობა 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, როგორც გამოცდაზე გასული, აგრეთვე ჩარიცხული აბიტურიენტთა თვალსაზრისით, დაფიქსირდა 2013 წელს. ეს ის

ერთადერთი წელია, როდესაც საატესტატო გამოცდების ადმინისტრირება გამოცდებისა და შეფასების ცენტრის ნაცვლად, თავად სკოლამ უზრუნველყო. შესაბამისად, გამოცდებზე ჩაჭრილთა რაოდენობა მკვეთრად დაბალი იყო სხვა წლებთან შედარებით.

წარმოდგენილი ცხრილები ცალსახად მიუთითებს ზოგადი განათლების სისტემაში შემავალ არაქართულენოვან სკოლებში არსებულ პრობლემებზე. ეს პრობლემები და საატესტატო გამოცდების შედეგები თავს იჩენს სწორედ საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობაში, სადაც, ერთი მხრივ, კვოტირებული ადგილების რაოდენობა ბევრია და მისი ათვისება ვერ ხდება, რადგან კურსდამთავრებულთა რაოდენობა მცირეა არაქართულენოვან სკოლებში და აგრეთვე დაბალი ზოგადი განათლება პრობლემატურია ზოგადად ხარისხიანი უმაღლესი განათლების მისაღებად და უნივერსიტეტებს უწევთ დამატებითი ძალისხმევა ზოგადი განათლების დონეზე არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მათ შორის ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით:

## სწავლის მიტოვების პრობლემები

ჩარიცხულ სტუდენტთა უმრავლესობა (90%-ზე მეტი) 5 ძირითად უნივერსიტეტში ნაწილდება: (1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (2) ტექნიკური უნივერსიტეტი; (3) ილიას უნივერსიტეტი; (4) სამედიცინო უნივერსიტეტი; (5) სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტი. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გთავაზობთ

ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილებას უნივერსიტეტების მიხედვით 2014 და 2015 წლებში:

**ცხრილი 9: ჩარიცხულ აბიტურიენტთა გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით 2014-2015**

| --                  | ჩარიცხვა(გამოცდ.ცენტრ) 2014 | ჩარიცხვა(გამოცდ.ცენტრ) 2015 | რეგისტრაცია ერთწლიან პროგრამაზე 2014 | რეგისტრაცია ერთწლიან პროგრამაზე 2015 |
|---------------------|-----------------------------|-----------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|
| თსუ                 | 314                         | 309                         | 264                                  | 247                                  |
| საქ.ტექნ.უნი        | 123                         | 172                         | 94                                   | 129                                  |
| ბათუმი              | 3                           | 0                           | 3                                    | 0                                    |
| გორი                | 0                           | 0                           | 0                                    | 0                                    |
| სამცხე-ჯავახეთი     | 52                          | 55                          | 44                                   | 41                                   |
| სამედცინო           | 52                          | 52                          | 46                                   | 44                                   |
| ილიაუნი             | 114                         | 140                         | 114                                  | 140                                  |
| სხვა უნივერსიტეტები | 40                          | 72                          | 40                                   | 72                                   |
| <b>სულ:</b>         | <b>698</b>                  | <b>800</b>                  | <b>605</b>                           | <b>667</b>                           |

ცხრილიდან თვალსაჩინოა, რომ სტუდენტების სამიზნეა მხოლოდ თბილისში განთავსებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და მათი კომპაქტური განსახლების ადგილებში არსებული უმაღლესი სასწავლებლები. შესაბამისად, პროგრამა ნაკლებად ეფექტურია კომპაქტური განსახლების გარდა, სხვა რეგიონალურ უნივერსიტეტებში. მნიშვნელოვანია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში (რუსთავის გარდა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არარსებობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დაბრკოლება ზოგიერთი მსურველისათვის, ჩააბაროს ქართულ უმაღლეს სასწავლებელში გეოგრაფიულად ხელმისაწვდომ ადგილზე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვემო

ქართლის რეგიონის კომპაქტური განსახლების რაიონებში პროფესიული განათლებისა და პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითაც სერიოზული პრობლემებია (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტი, 2016).

ზემოთ მოყვანილი ცხრილი სხვა ტენდენციის თვალსაზრისითაც არის საინტერესო. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების სოლიდური ნაწილი აღარ აგრძელებს სწავლას ერთწლიანი ქართული ენის პროგრამაზე. კერძოდ, 2014 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების დაახლოებით 14-მა %-მა აღარ გააგრძელა სწავლა ერთწლიან პროგრამაზე, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი 17 %-ს გაუთანაბრდა. ერთწლიან პროგრამაზე სწავლის გაუგრძელებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირდებიან უკვე მოქმედი სტუდენტები, რომლებიც ზოგადი უნარების გამოცდას აბარებენ დაფინანსების მოსაპოვებლად და მას შემდეგ, რაც ჩააბარებენ გამოცდას და მოიპოვებენ ან ვერ მოიპოვებენ დაფინანსებას, აგრძელებენ სწავლას საბაკალავრო პროგრამაზე. შესაბამისად, მათ მიერ ფორმალურად დაკავებული ადგილები შეუვსებელი რჩება ზოგიერთ უნივერსიტეტს, მაგალითად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც 2014 და 2015 წელსაც მიიღო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, წლების შესაბამისად, 314 და 309 სტუდენტი, თუმცა ერთწლიან პროგრამაზე უკვე სწავლა გააგრძელა 264-მა სტუდენტმა 2014 წელს და 241-მა სტუდენტმა 2015 წელს, რადგან აბიტურიენტებმა გამოცდა ჩააბარეს მხოლოდ გრანტის მისაღებად და შემდგომ სწავლა საბაკალავრო პროგრამაზე გააგრძელეს.



შედეგად, ერთი მხრივ, უნივერსიტეტმა ვერ შეავსო ადგილები, ხოლო, მეორე მხრივ, ის სტუდენტები, რომელთაც სურდათ ამ უნივერსიტეტში მოხვედრა, გადანაწილდნენ სხვა უნივერსიტეტებში.

კვლევაში ასევე შესულია ინფორმაცია სტუდენტთა შესახებ ერთწლიან და საბაკალავრო პროგრამებზე ჩაბარების შემდეგაც. შედეგების მიხედვით, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებულ სტუდენტთა 9,41% არ აგრძელებს სწავლას ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე. მონაცემების გაანალიზება გართულებულია ჩაბარებული სტუდენტების რაოდენობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობასთან შედარებისას. მონაცემების მიხედვით, იმ სტუდენტთა 14.6%, რომლებიც მისაღები გამოცდის შედეგად ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში, არ აგრძელებენ სწავლას საბაკალავრო პროგრამაზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად ჩანს აღწერილი მიგნებები.

**ცხრილი 10: სტუდენტების ჩაბარებისა და სწავლის გაგრძელების მონაცემები თბილისის ჯავახიშვილი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან**

|             | ეროვნულ<br>გამოცდაზე<br>დაშვებული | ქართული<br>ენის<br>პროგრამის<br>სტუდენტი | საბაკალა<br>ვრო<br>პროგრამ<br>ის<br>სტუდენ<br>ტი | ქართული<br>ენის<br>პროგრამის<br>სტუდენტებ<br>ის %<br>ჩაირიცხულე<br>ბიდან | ბაკალავრი<br>სტუდენტების<br>% საერთო<br>ჩაირიცხულე<br>ბიდან |
|-------------|-----------------------------------|--|--|--|---|
| 2010-11     | 177                               | 156                                      | 155  | 88,1 %   | 87,5%   |
| 2011-12     | 262                               | 256                                      | 233  | 97,7 %   | 88,9 %  |
| 2012-13     | 415                               | 314                                      | 259  | 75,6 %   | 62,4 %  |
| 2013-14     | 400                               | 284                                      | 283  | 71,0%  | 70.7%   |
| 2014-15     | 314                               | 264                                      | 258  | 84,1%  | 82.2%   |
| 2015-16     | 309                               | 247                                      | 243  | 79,9%  | 78,6%   |
| <b>სულ:</b> | <b>1700</b>                       | <b>1521</b>                              | <b>1431</b>                                      | <b>89,47%</b>  | <b>84,2%</b>  |

\*ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთა მიტოვების მაჩვენებელი ძალიან მაღალია ჩაბარების მონაცემთან შედარებით. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წელს სულ 156 სტუდენტი ჩაირიცხა. მხოლოდ 23-მა (14.8%) შემლო საბაკალავრო პროგრამის დასრულება 2015 წელს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სტუდენტების მიტოვების მაჩვენებელი ამ წლებისათვის.

ცხრილი 11: საბაკალავრო საფეხურის დასრულების მაჩვენებელი კვოტის სისტემის ფარგლებში 2010 წელს ჩარიცხულ სტუდენტებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

| ფაკულტეტი/ ჩაბარების წელი           | 2011       | სტატუსშეცვრებული | დამატებითი სემესტრი | მიტოვება  | მოზილობის ფარგლებში დატოვა ონიირსოპიტი | დამთვრა   | შიდა მოზილობა | გარე მოზილობა | ამჟამად აქტიური სტუდენტი | აქტიური   |
|-------------------------------------|------------|------------------|---------------------|-----------|--|-----------|---------------|---------------|--------------------------|-----------|
| მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებები    | 13         | 2                | 1                   | 6         | 6                                      | 0         | 4             | 2             | 1                        | 3         |
| ჰუმანტარული                         | 35         | 8                | 9                   | 15        | 9                                      | 9         | 3             | 7             | 8                        | 12        |
| სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები    | 4          | 1                | 3                   | 1         |  | 1         |               | 1             | 2                        | 2         |
| ეკონომიკური და ბიზნეს ადმინისტრაცია | 50         | 9                | 6                   | 19        | 13                                     | 1         | 7             | 1             | 6                        | 6         |
| იურიდიული                           | 19         | 1                | 5                   | 8         | 3                                      | 2         | 4             | 0             | 5                        | 5         |
| სამედიცინო                          | 20         | 3                |                     | 5         | 3                                      | 0         | 2             | 1             |                          | 9         |
| ტურიზმი                             | 2          | 1                |                     | 3         | 1                                      | 0         | 1             | 4             |                          | 1         |
| <b>სულ</b>                          | <b>143</b> | <b>25</b>        | <b>24</b>           | <b>57</b> | <b>35</b>                              | <b>13</b> | <b>21</b>     | <b>16</b>     | <b>22</b>                | <b>38</b> |

ცხრილში მოცემულია სტუდენტების სწავლის მიტოვების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით. ფაკულტეტების მიხედვით ანალიზი იძლევა საშუალებას ნათელი გახდეს ის მიმართულებები, რომლებიც ყველაზე მეტად პრობლემატურია სტუდენტებისთვის, ანუ პროგრამები, რომლებზეც მაღალია სწავლის შეწყვეტის, თუ შიდა და გარე მობილობით სპეციალობის შეცვლის მაჩვენებელი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემატურია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და შესაბამისად, ამ პროგრამის სტუდენტთათვის დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების ამუშავებაა შესაძლებელი, მათ შორის უშუალოდ ფაკულტეტისა და ლექტორების მხრიდანაც. ეს საკითხი უფრო ვრცლად მოგვიანებით იქნება განხილული.

## თავი 3. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ხარვეზები

---

არსებულმა კვლევამ მრავალი პრობლემა გამოავლინა ერთწლიან პროგრამაში. პროგრამისა და შეფასების უნივერსალურობა საკვანძო პრობლემაა. პროგრამაში ჩართული სტუდენტების ენობრივი კომპეტენციები სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. სტუდენტების კომპეტენციები სამ დონედ იყოფა: (ა) სტუდენტები, რომელთაც არ გააჩნია ქართული ენის ფლობის საბაზისო დონე; (ბ) სტუდენტები, მინიმალური კომუნიკაციური ენობრივი კომპეტენციებით; (გ) სტუდენტები, ქართული ენის გამართული კომუნიკაციური უნარებით. ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე სტუდენტები იყოფიან ენობრივი კომპეტენციების შესაბამის ჯგუფებად, რომელიც ენის ტესტის შედეგად დგინდება. თუმცა, პროგრამის გეგმა არ ითვალისწინებს სხვადასხვა დონის სტუდენტებისთვის სხვადასხვა პროგრამით სწავლებას და ამ თვალსაზრისით არსებული აკრედიტებული პროგრამები უნივერსალურია. პროგრამის უნივერსალურობა სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია ენის ფლობის იმ დონის მისაღწევად, რომელიც საკმარისი იქნება მათთვის საბაკალავრო დონეზე სწავლის გასაგრძელებლად, უნივერსალურობავე არ აძლევს პედაგოგებს საშუალებას, რომ გაითვალისწინონ სტუდენტის საჭიროებები ინდივიდის დონეზე. პროგრამა არ არის ორიენტირებული იმ სტუდენტების საჭიროებებზე, რომლებიც გამართულად ფლობენ

ქართულს იმისათვის, რომ მათ შეძლონ აკადემიური ენობრივი უნარების განვითარება.

(2) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასების სისტემა ასევე წარმოადგენს გამოწვევას სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის. ხშირია პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული კრიტიკა, რომელიც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქართული ენის ფლობის დონე სათანადოდ განვითარდეს. შესაბამისად, უნივერსალური შეფასების სისტემა არ არის საკმარისი. პროფესორები საუბრობენ იმ საჭიროებაზე, რომელიც ენობრივი შეფასების სისტემის დივერსიფიცირებას უკავშირდება, რომელიც კარგად განსაზღვრავს კომპეტენციებს დონეების მიხედვით, და შესაბამისად, საშუალებას მისცემს სტუდენტებს განვიითარონ ენობრივი კომპეტენციები და სრულყოფილი ენის ფლობის დონე საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად.

პროგრამის უნივერსალურობა განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება დაბალი და მაღალი ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტებზე. პირველნი ვერ ახერხებენ აკადემიური ენის განვითარებას და სოციალური უნარების შეძენას პროგრამის ფარგლებში სწავლის პერიოდში. უკანასკნელნი კი ვერ ავითარებენ ენობრივ კომპეტენციებს საკმარისად დროის შეზღუდულ პერიოდში.

3) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის გამოწვევები მომავალში ნეგატიურად აისახება ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაში აკადემიურ მიღწევებზე. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მაღალი მიტოვების მაჩვენებლის

მიზეზი მეტწილად სწორედ დაბალი აკადემიური მიღწევებითაც არის განპირობებული.

წარმოდგენილი ცხრილი კარგი ანალიზის საშუალებას იძლევა არა მხოლოდ სწავლის მიტოვების მაჩვენებლის თვალსაზრისით, არამედ დარგობრივი მიმართულებების გამოკვეთის თვალსაზრისითაც, რომელზე სწავლაც ყველაზე მეტად უძნელდებათ სტუდენტებს და სადაც სწავლის მიტოვების მაჩვენებელი არის ყველაზე მაღალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წელს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა მაგალითზე, პრობლემატურია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სამედიცინო და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე სწავლა, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ჰუმანიტარული მეცნიერებების, სამართლისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. სტატისტიკური მონაცემები გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ მიტოვების მაღალ და დამთავრების დაბალ მაჩვენებლებზე, თუმცა ამის გამომწვევი მიზეზები ცალკე კვლევის საგანია. აღნიშნული მიზეზების დადგენა ხელს შეუწყობს მასზე რეაგირების ინსტრუმენტების შემუშავებას და კარგი იქნება ამ პრობლემების დასადაგენად უშუალოდ უნივერსიტეტის ინიციატივა და ჩართულობა. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დეტალურადაა წარმოდგენილი 2011 წელს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დამთავრების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ცხრილი 12: ეთნიკური უმცირესობების სწავლის დინამიკა ფაკულტეტების მიხედვით 2011 წელს

| ფაკულტეტი                          | 2011 | სწავლა<br>მიატოვა | დაასრულა | დასრულების<br>% |
|------------------------------------|------|-------------------|----------|-----------------|
| მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებები   | 13   | 6                 | 0        | 0%              |
| ჰუმანიტარული                       | 35   | 15                | 9        | 25,7%           |
| სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები   | 4    | 1                 | 1        | 25,00%          |
| ეკონომიკური და ბიზნესადმინისტრაცია | 50   | 19                | 1        | 2,0%            |
| იურიდიული                          | 19   | 8                 | 2        | 10,5%           |
| სამედიცინო                         | 20   | 5                 | 0        | 0%              |
| ტურიზმი                            | 2    | 3                 | 0        | 0%              |
| სულ                                | 143  | 57                | 13       | 9,09%           |

4) უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთი პროგრამა აყენებს დამატებით წინაპირობას კვოტირებული სისტემით ჩარიცხულთათვის. ამის მაგალითია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოთხოვნები. ეს პრეცედენტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მსგავსი წინაპირობების დაყენების შემთხვევაში, შესაძლებელია, მთლიანად დაკარგოს აზრი სახელმწიფოს საშეღავათო პოლიტიკამ. რადგან სახელმწიფო შეთანხმდა საშეღავათო პოლიტიკის განხორციელებაზე უმაღლეს სასწავლებლებთან, მსგავსი პრეცედენტები არ უნდა დაიშვას. პირიქით, პროგრამები უფრო მოქნილი უნდა იყოს ამ სტუდენტებისთვის და თუ კონკრეტულ პროგრამას აქვს კონკრეტული ცოდნისა და უნარების აუცილებლობა პროგრამის დასაძლევად, სწორედ ამ ცოდნისკენ უნდა იყოს მიმართული პირველი კურსის საგნების არჩევანი (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე

უცხო ენის ცოდნა აუცილებელია საბაკალავრო პროგრამის დასაძლევად, შესაბამისად, საფაკულტეტო სავალდებულო კურსებისა (პედაგოგის, საქართველოს ისტორია, აკადემიური წერა) ნაცვლად, კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება, მათი საჭიროებების მიხედვით აირჩიონ საფაკულტეტო კურსები და სავალდებულო 10 კრედიტის უცხო ენის კურსებს დაამატონ კიდევ 15 კრედიტის უცხო ენების კურსები, ანუ საფაკულტეტო კურსები გამოიყენონ მთლიანად ენობრივი კომპეტენციების გასაძლიერებლად უცხო ენაში. ანალოგიურად, სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე პირველ კურსზე სტუდენტს საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე, კურსების არჩევანის შესაძლებლობა უნდა მიეცეს და არ უნდა არსებობდეს ხისტი წინაპირობები, რაც „კვოტირების სისტემას“ მთლიანად შეუქმნის საფრთხეს.



## თავი 4. სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

### მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი

კვლევის ფარგლებში განხორციელდა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. საბაზისო დემოგრაფიული ინფორმაციის გარდა, რომელიც სტუდენტების ასაკს, სქესს, საცხოვრებელ რეგიონსა და რაიონს აზუსტებდა, კითხვარის მეშვეობით განხორციელდა ინფორმაციის შეგროვება სტუდენტების მიერ შერჩეული უნივერსიტეტის, ასევე ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დაწყების შესახებ, რათა გამოგვევლინა ის შესაძლო შემთხვევები, როდესაც სტუდენტებმა ერთწლიანი პროგრამის გავლას ერთ წელიწადზე მეტი დრო მოანდომეს. კითხვარი შედგებოდა 4 სექციისგან, კერძოდ კი, უნივერსიტეტის არჩევის პირობების, საკუთარი ენობრივი კომპეტენციების და უნარების შეფასების, ქართული ენის პროგრამის შეფასებისა და პროგრამის დასრულების შემდგომი გეგმების შესახებ. პირველი სამი სექცია სტუდენტისაგან მოითხოვდა თითოეული დებულების შეფასებას 0-დან 5-მდე მისი ინტენსივობისა და რელევანტურობის მიხედვით, სადაც 0 ნიშნავდა „ჩემთვის არარელევანტურია“, ხოლო 5 ქულა კი ყველაზე მაღალ ინტენსივობას აღნიშნავდა. რაც შეეხება ბოლო სექციას სამომავლო გეგმების შესახებ, კითხვარში გვხვდებოდა დახურული და რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ერთი ვარიანტის შერჩევაზე ორიენტირებული კითხვები, რომლებიც სტუდენტებისგან ითხოვდა ინფორმაციის

გაზიარებას საბაკალავრო პროგრამის, სასურველი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შესახებ, ასევე, სკალაზე სასურველი პროგრამის არჩევანზე გავლენის მქონე შესაძლო ფაქტორების ინტენსივობის მიხედვით შეფასებას. კითხვარი, საერთო ჯამში, 88 კითხვას მოიცავდა, თუმცა, მისი ფორმატიდან გამომდინარე, შევსებას დაახლოებით 30-40 წუთი სჭირდებოდა.

## კვლევის მონაწილეთა შერჩევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოკითხვისათვის შეირჩა 5 სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები. სულ გამოიკითხა 276 სტუდენტი, საერთო პოპულაცია  $N=577$ , სანდოობის ზღვარი 95%, ცდომილების ზღვარი 4.26%, პასუხების რედასტრიბუცია 50%.

რესპონდენტების შერჩევისათვის გამოვიყენეთ შემთხვევითი შერჩევის პრინციპი, სადაც ყველა ფოკუს ინსტიტუტში დარეგისტრირებული 577 სტუდენტის კონსოლიდირებული სიიდან შემთხვევითი შერჩევის, ბიჯის პრინციპით შეირჩა 280 ცდის პირი. იმ შემთხვევაში, თუ ბიჯით შერჩეული სტუდენტის გამოკითხვა არ ხერხდებოდა ობიექტური მიზეზებისგან გამომდინარე, რიგი გადადიოდა შემდეგ სტუდენტზე. შევსებული კითხვარებიდან ვალიდურად ჩაითვალა 276 კითხვარი.

ქვემოთ მოცემულია სტუდენტების სრული რაოდენობა ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე უნივერსიტეტების მიხედვით და შერჩეული პირების რაოდენობა თითოეული უნივერსიტეტისათვის:

**ცხრილი 13: კვლევის მონაწილე სტუდენტების რაოდენობა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით**

| უნივერსიტეტი  | 2016 წელს ჩარიცხული და აქტუალური სტუდენტების რიცხვი | საცდელი პირი სტუდენტების რაოდენობა | საერთო რაოდენობის % | ცდის პირების პროცენტული წილი უნივერსიტეტების დონეზე საერთო რაოდენობიდან |
|---|---|------------------------------------|---------------------|---|
| ივ. ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 240   | 105                                | 38.0%               | 43.8%   |
| სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი                          | 44  | 37                                 | 13.4%               | 84.1%   |
| ახალციხის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | 41  | 17                                 | 6.2%                | 41.5%   |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი                          | 129   | 45                                 | 16.3%               | 34.9%   |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი                               | 123   | 72                                 | 26.1%               | 58.5%   |
| <b>სულ</b>  | <b>577</b>  | <b>276</b>                         | <b>100</b>          |   |

მონაცემთა მიხედვით, გამოკითხულ საცდელ პირთა შორის, 137 მამაკაცია (49.6%) და 139 ქალი (50.4%). რაც შეეხება ასაკობრივ დისტრიბუციას, 171 გამოკითხული პირი (62%) 19-20 წლის ასაკისაა, 72 პირი (26%) არის 17-18 წლის, 27 პირი (9.7%) არის 21-24 წლის ასაკის,

ხოლო 2 რესპოდენტი კი, (0.7%) 24+ წლისაა. რესპოდენტთა რეგიონული გადანაწილება შემდეგნაირია: 183 გამოკითხული (66.3) ქვემო ქართლის რაიონიდანაა, 56 სტუდენტი (20.3) კი, სამცხე-ჯავახეთიდან. თბილისიდან 15 ადამიანი (5.4) გამოიკითხა, ხოლო კახეთიდან კი - 22 ადამიანი (8.0).

რაც შეეხება სტუდენტთა მიერ პროგრამის დაწყებისა და დასრულების წლებს, ყველა უნივერსიტეტში, გარდა ილიას უნივერსიტეტისა, გამოკითხულმა სტუდენტებმა 2016 წელს დაიწყეს პროგრამა და, შესაბამისად, 2017 წელს უნდა დაასრულონ ის. ილიას უნივერსიტეტში, 9 სტუდენტმა (გამოკითხულთა 3.2%), პროგრამა დაიწყო 2015 წელს და მის დასრულებას 2017 წლისათვის გეგმავს.

## გამოკითხვის შედეგები

სტუდენტთა გამოკითხვა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: გაგვერკვია სტუდენტთა შეფასება ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შესახებ შემდეგი მიმართულებებით: (ა) ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არჩევის წინაპირობები; (ბ) ქართული ენის ცოდნის შეფასება, სწავლისა და სწავლების ზოგადი ასპექტები; (გ) სასწავლო გარემოთი და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა; (დ) მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება; (ე) არასასწავლო, კლასგარეშე და საინტეგრაციო აქტივობები; ვ) პროგრამის ადმინისტრირება და სტუდენტთა მხარდაჭერა; კვლევის მიზანი იყო თითოეულ ამ ასპექტზე ერთწლიანი

პროგრამის სტუდენტთა შეფასებები და აღქმები გაგვეგო და გაგვეანალიზებინა. წარმოგიდგენთ თითოეული მიმართულებით მიღებულ შედეგებს და შევეცდებით გავაანალიზოთ არსებული ვითარება, ხარვეზები, პროგრესი და სამომავლო პერსპექტივები.

## ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არჩევის წინაპირობები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში გვინდოდა დაგვედგინა ის ასპექტები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სტუდენტების მიერ კონკრეტულ უნივერსიტეტში ქართული ენის პროგრამის შერჩევისას. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ სტუდენტების მოსაზრებები შეგვესწავლა უნივერსიტეტების მიხედვით. მიუხედავად ზოგადი ტენდენციისა, რომელიც აჩვენებს, რომ სტუდენტები ყველა ასპექტსა და პარამეტრს მაღალ ქულას ანიჭებენ და, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, უნივერსიტეტების დონეზე შესაძლებელია რიგი ტენდენციების შესახებ საუბარი:


უნივერსიტეტის პრესტიჟულობას ძალიან საგულისხმოდ, ანუ, 5-დან 5 ქულით აფასებს თსუ-ს პროგრამაში გაერთიანებულ სტუდენტთა 73%-ზე მეტი. ასევე მაღალია პრესტიჟის ფაქტორი ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის (62.5%). ამ ფონზე, საგულისხმოა, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პრესტიჟულობა ძალიან

მნიშვნელოვანი იქაურ სტუდენტთა მხოლოდ 29.4%-თვისაა და, შესაბამისად, პროგრამის არჩევაც ამ რაოდენობისათვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა, მეორე მხრივ, ის, რომ უნივერსიტეტის მოხერხებულობამ განაპირობა ქართული ენის პროგრამის არჩევანი, ადასტურებს იქაური სტუდენტების 94%, მაშინ, როდესაც თსუ-ში სწავლას მოხერხების თვალსაზრისით უმაღლესი ქულით სტუდენტთა 37.1% აფასებს. ასევე, საინტერესოა ის, რომ საკუთარ არჩევანს საბაკალავრო პროგრამის სიადვილით ბევრად ნაკლები სტუდენტი ხსნის, ვიდრე სხვა ფაქტორებს. ასე, მაგალითად, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებიდან უმაღლეს მნიშვნელობას საბაკალავრო პროგრამის სიადვილეს მხოლოდ 13.3% ანიჭებს, ხოლო სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტებიდან - 17.6%. ამ ფონზე, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში, სტუდენტების დაახლოებით მესამედი თვლის, რომ საბაკალავრო პროგრამის სიადვილე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქართული ენის პროგრამის არჩევისას. ასევე ნიშანდობლივია, რომ სტუდენტების პასუხების გადანაწილება დებულებაზე, რომელიც ეხება საბაკალავრო პროგრამას, რომელზეც სწავლის გაგრძელებას აპირებს. ეს ფაქტორი, რომელიც ობიექტურად ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართული ენის პროგრამის არჩევანის გაკეთებისას, რიგ შემთხვევებში არც თუ მაღალი პროცენტით შეფასდა. დაბალი პროცენტით ფასდება სამედიცინო უნივერსიტეტის შემთხვევაში (24.3%). ასევე, მხოლოდ სტუდენტების 27%-თვის ილიას-უნივერსიტეტში, 29.4%-თვის სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში და 35%-თვისაა მნიშვნელოვანი

საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ქართული ენის პროგრამის შემდეგ უნდა აირჩიოს, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვისაც. ის, რომ მკვეთრად პროფილირებული უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის სამომავლო საბაკალავრო პროგრამა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული ენის პროგრამის შერჩევისას, ვიდრე, მაგალითად, უნივერსიტეტის პრესტიჟულობა, მიანიშნებს იმაზე, რომ სტუდენტებს არ აქვთ გაცნობიერებული უნივერსიტეტის ხედვა ან მათი პროფესიული არჩევანი არ არის კარგად ჩამოყალიბებული.

ქვემოთ მოცემულია სტუდენტების პასუხები, რომლებიც გადანაწილებულია 3-დან 5-მდე ქულობრივ შეფასებაში საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობის შესახებ.

**დიაგრამა 2: სტუდენტების პასუხების გადანაწილება 3-დან 5 ქულამდე ქართული ენის პროგრამის არჩევისას უნივერსიტეტში არსებული საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობის შესახებ**



ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში კარგად ჩანს ის საერთო ტენდენცია, რომელიც პროგრამის არჩევის წინაპირობების შეფასებას ეხება, სტუდენტების მიერ თითოეულ უნივერსიტეტში. პასუხების განხილვისას, ასევე საგულისხმოა მეგობრების არჩევანის გავლენის შეფასება პროგრამის არჩევისას. ტექნიკური უნივერსიტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 42%-ზე მეტი აცხადებს, რომ ბევრი მეგობრის მიერ ამ პროგრამაზე ჩაბარება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო არჩევანის გაკეთებისას. თუმცა, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების მხოლოდ 6%-მდე ნაწილისათვის იყო იგივე ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი. საინტერესოა, სტუდენტების პასუხები თავად პროგრამის მაღალ ხარისხთან, როგორც მათი არჩევანის მნიშვნელოვან ფაქტორთან დაკავშირებით; თსუ-ს უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოებით 38% აცხადებს, რომ ქართული ენის კურსის ხარისხი იყო ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაშინ, როდესაც თავად უნივერსიტეტის პრესტიჟი ძალიან მნიშვნელოვანი სტუდენტების 73%-ზე მეტისთვის იყო. მომავალი საბაკალავრო პროგრამა კი მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების 45%-ზე მეტისათვის. ილიას სტუდენტებისათვის მოსამზადებელი პროგრამის ხარისხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებს შორის არჩევანის გაკეთებისას. 72%-ზე მეტი სწორედ ამ ფაქტორს აცხადებს ძალიან მნიშვნელოვანად, მაშინ როდესაც სამომავლო საბაკალავრო პროგრამა ილიას სტუდენტების მხოლოდ 27.8%-საა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი.




**ცხრილი 14: სკალაზე ყველაზე მაღალი ნიშნულების მიხედვით სტუდენტების პასუხების გადანაწილება უნივერსიტეტის არჩევანის შესახებ**

|             | ეს უნივერსიტეტი ძალიან პრესტიჟულია | ამ უნივერსიტეტში სწავლა მოხერხებულა | საბაკავროზე სწავლა უფრო ადვილი იქნება | საბაკალავრო პროგრამა, რომელზეც სწავლას გავაგრძელებ | ბევრმა ჩემმა მეგობარმა ჩააბარა | ყველაზე კარგი მოსამზადებელი პროგრამა | ყველაზე მარტივად დასაძლევია პროგრამა |
|-------------|------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|--|--------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|
| ოსუ         | 73.3%                              | 37.1%                               | 23.8%                                 | 45.7%  | 36.2%                          | 38.1%                                | 25.7%                                |
| ილიას       | 62.5%                              | 44.4%                               | 30.6%                                 | 27.8%  | 33.3%                          | 72.2%                                | 13.9%                                |
| სამცხე-ჯავ. | 29.4%                              | 94.1%                               | 17.6%                                 | 29.4%  | 5.9%                           | 41.2%                                | 29.4%                                |
| ტექნიკური   | 53.3%                              | 55.6%                               | 33.3%                                 | 35.6%  | 42.2%                          | 37.8%                                | 40.0%                                |
| სამედიცინო  | 54.1%                              | 40.5%                               | 13.5%                                 | 24.3%  | 10.8%                          | 37.8%                                | 18.9%                                |

მეტი თვალსაჩინოებისათვის, მონაცემები მოცემულია დიაგრამაზე, სადაც ყველაზე მაღალი ქულების მინიჭება თითოეული ფაქტორისათვის უნივერსიტეტების დონეზე მკაფიოდ ჩანს. და სადაც, ქართული ენის პროგრამის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ყველა სხვა ფაქტორზე უფრო მეტად და მეტი სტუდენტის მიერ სახელდება ძალიან მნიშვნელოვნად.

**დიაგრამა 3: სკალაზე ყველაზე მაღალი ნიშნულების გადანაწილება უნივერსიტეტის არჩევანის შესახებ**



როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვარი საშუალებას იძლეოდა ვარიანტზე „სხვა“ სტუდენტს ღია პასუხი დაეფიქსირებინა: ის პასუხი, რომელიც მისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა არჩევანის გაკეთებისას, თუმცა ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის არ იყო მოცემული. საინტერესოა, რომ პასუხის ვარიანტი „სხვა“, რომელიც დაკონკრეტებას მოითხოვდა, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტიდან არავის უპასუხია, ხოლო სამედიცინო უნივერსიტეტში კი, გამოკითხულთა 45.9%-მა უპასუხა. თსუ-სა და ილიაში ღია კითხვაზე პასუხი შესაბამისად, 17% და 22%-მა გასცა. მოცემული პასუხებიდან, პასუხების უმრავლესობა დებულებებში მოცემულ შინაარსს ითვალისწინებს და სხვა სიტყვებითაა გადმოცემული. დებულებებში ნაწილობრივ გაუთვალისწინებელია ილიას უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტის პასუხი, რომლებიც ამბობენ, რომ მათი არჩევანი განაპირობა თანამედროვე სწავლის მეთოდებმა, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს. „მინდოდა, რომ თანამედროვე უნივერსიტეტში მესწავლა“. „უნივერსიტეტში სწავლის თანამედროვე მეთოდებია“. ასევე, „ამ უნივერსიტეტის სტუდენტებს პროგრამის დასრულების შემდეგ ყველაზე კარგი შედეგები აქვთ“. „მე მართლა მინდოდა ენის სწავლა.“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დებულებებს შორის საუბარია უნივერსიტეტის პრესტიჟზე და ასევე ქართული ენის პროგრამის ხარისხზე, როგორც ფაქტორებზე, ასე ჩამოყალიბებული დებულებები, სადაც კონკრეტული ნიშნები და თვისებებია ხაზგასმული, ცალკეულ პასუხად გამოტანისათვის მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ.

რაც შეეხება თსუ-ს, 2 სტუდენტი აკონკრეტებს, რომ მათი ოცნება სწორედ ამ უნივერსიტეტში სწავლა იყო. ერთი კი საუბრობს თსუ-ს უნივერსიტეტის დიპლომის საერთაშორისო აღიარებაზე, რაც მისი არჩევანის მიზეზი გახდა, რაც ასევე უნივერსიტეტის პრესტიჟულობის მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა, რადგან სტუდენტისათვის სწორედ ინტერნაციონალიზაციის ელემენტი მიიჩნევა მნიშვნელოვნად, ჩავთვალეთ, რომ პასუხი ცალკე, „სხვა“ ფაქტორად განგვიხილა.

ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ღია პასუხებში ხაზს უსვამენ უნივერსიტეტის მიერ იმ სპეციალობების მიწოდებას, რომელიც მათ არჩევანს შეესაბამება და სხვა უნივერსიტეტები მსგავს სპეციალობას ვერ მისცემდნენ ან ვერ მისცემდნენ ისე ხარისხიანად, როგორც მათ მიერ არჩეული უნივერსიტეტები. კვლავაც, ეს პასუხი სრულადაა მოცემული საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებულ დებულებაში, რომელსაც კონკრეტულ უნივერსიტეტში კონკრეტული ქართული ენის პროგრამის არჩევანზე შეიძლება გავლენა ექონია.

## ქართული ენის ცოდნის შეფასება

გამოკითხვისას საინტერესო იყო დაგვედგინა სტუდენტთა შეფასება საკუთარი ენობრივი კომპეტენციების შესახებ. ანუ გაგვეჩვენა, თუ როგორ აფასებდნენ ისინი საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს პროგრამის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ. შესაბამისად, სტუდენტებს ქართულ ენაში კომპეტენციები 6 სხვადასხვა დონეზე

უნდა შეეფასებინათ (ექვსი დონე შეირჩა ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების შესაბამისად) და სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ საკუთარი უნარები როგორც კითხვის, აგრეთვე წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიმართულებებით.

მოცემული იყო შემდეგი დებულებები:


შეაფასეთ თქვენი ენობრივი ცოდნა და უნარები 0-დან (სრულიად ვერ ვფლობ) 5-მდე (ქართულს ვფლობ მშობლიური ენასავით):

1. ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი ცოდნა და უნარები წერის მიმართულებით.
2. ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი ცოდნა და უნარები წაკითხვის გააზრების მიმართულებით.
3. ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი ცოდნა და უნარები მოსმენის მიმართულებით.
4. ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი ცოდნა და უნარები ლაპარაკის მიმართულებით.

საგულისხმოა, რომ სტუდენტები მაღალი ქულით აფასებენ საკუთარ უნარებს ყველა მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარში განმარტებული იყო, რომ 5 ქულით მშობლიურთან მიახლოებული ენის ფლობის ცოდნა და უნარი უნდა შეფასებულიყო, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 40%-მა ქართულ ენაზე წერის საკუთარი უნარი 5 ქულით შეაფასა, თსუ-ს - 22.9%-მა, ხოლო სამედიცინოს სტუდენტების 16.2%-მა. ნიშანდობლივია, რომ ენობრივი კომპონენტების შეფასებაში მეტ-ნაკლები ჰომოგენურობა აღინიშნება სამედიცინო უნივერსიტეტის

სტუდენტებს შორის, სადაც გამოკითხულ სტუდენტთა პროცენტი, რომლებმაც საკუთარი ენის ფლობის ცოდნა და უნარი უმაღლესი ქულით შეაფასეს 13-16%-ს შორის მერყეობს. აქედან, 16.2% საკუთარ უნარებს წერაში აფასებს უმაღლესი ქულით, ხოლო წაკითხულის გააზრების, მოსმენისა და ლაპარაკის უნარებს კი, ერთნაირად, 13.5%. ერთ-ერთი უნივერსიტეტი, რომლის გამოკითხული სტუდენტებიდან არც ერთს არ შეუფასებია საკუთარი ზეპირი მეტყველების უნარი უმაღლესი ქულით, არის სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, თუმცა წაკითხულის გააზრების უნარი ამ უნივერსიტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 23.5%-მა შეაფასა ყველაზე მაღალი ქულით. მეოთხე დიაგრამაზე მოცემულია გამოკითხულ სტუდენტთა გადანაწილება უნივერსიტეტების მიერ ენობრივი კომპონენტების შეფასების უმაღლესი ქულის მიხედვით.

**დიაგრამა 4: გამოკითხულ სტუდენტთა მიერ ენობრივი კომპონენტების ცოდნის შეფასება უმაღლესი ქულით უნივერსიტეტების მიხედვით.**



მეტი თვალსაჩინოებისათვის, საჭიროდ ჩავთვალეთ ენობრივი კომპეტენციების უმაღლესი შეფასების გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით ცხრილის სახითაც წარმოგვედინა, სადაც ასევეა გამოსახული ყველა კომპონენტის საშუალო, და შესაბამისად,


სტუდენტების ის პროცენტი, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს ქართულ ენაში, როგორც მშობლიურ ენასთან მიახლოებულს აფასებს. ცხრილში კარგად ჩანს, რომ ასეთი სტუდენტების რაოდენობა ყველაზე ნაკლებია ილიას უნივერსიტეტში (7.3%), მაშინ, როდესაც ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა 26%-ზე მეტი, ხოლო თსუ-ში კი 22%-ზე მეტი აფასებს თავის ენობრივ შესაძლებლობებს უმაღლესი ქულით.

**ცხრილი 15: სტუდენტების მიერ ენის ფლობის კომპონენტების უმაღლესი შეფასება და ამავე კომპონენტების საშუალო უნივერსიტეტების მიხედვით**

|                 | წერა  | წაკითხვის გააზრება | მოსმენა | ლაპარაკი | საშუალო |
|-----------------|-------|--------------------|---------|----------|---------|
| თსუ             | 22.9% | 28.6%              | 21.9%   | 15.2%    | 22.1%   |
| ილიას           | 6.9%  | 11.1%              | 5.6%    | 5.6%     | 7.3%    |
| სამცხე-ჯავახეთი | 11.8% | 23.5%              | 11.8%   | 0.0%     | 11.8%   |
| ტექნიკური       | 40.0% | 22.2%              | 31.1%   | 11.1%    | 26.1%   |
| სამედიცინო      | 16.2% | 13.5%              | 13.5%   | 13.5%    | 14.2%   |
| საშუალო         | 19.9% | 20.7%              | 17.4%   | 10.9%    | 17.2%   |

შედეგებიდან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნით იმის დადგენაც, თუ რომელი რეგიონის წარმომადგენელი სტუდენტები როგორ აფასებენ საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს და არსებობს თუ არა კორელაცია მოსწავლეების რეგიონულ წარმომავლობასა და ენობრივი კომპეტენციების შეფასებას შორის.

დიაგრამა 5: სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი კომპეტენციების ორი უმაღლესი ქულით შეფასების საშუალო და ყველა კომპეტენციის საშუალო რეგიონული გადანაწილების მიხედვით



როგორც ცხრილსა და დიაგრამაზე კარგად ჩანს, ყველა შემთხვევაში, უმაღლესი ქულებით სტუდენტები სამცხე-ჯავახეთიდან და თბილისიდან აფასებენ მოსმენის უნარს. ამასთან, ზეპირი მეტყველების უნარი ყველა რეგიონში ყველაზე დაბალი ქულით ფასდება სხვა კომპონენტებთან შედარებით, ვიდრე კახეთში. აქ ყველაზე დაბალი შეფასება წერის კომპონენტზე მოდის. ზოგადად, თუ რეგიონების მიხედვით სტუდენტების მიერ საკუთარ ენობრივი უნარების შეფასებას შევხედავთ, აშკარად ჩანს, რომ ყველაზე იშვიათად მაღალ, 4 და 5 ქულას ენობრივი კომპონენტების შეფასებას სტუდენტები კახეთიდან აძლევენ. მათი შეფასება მინიმუმ 10% ნაკლებია სხვა რეგიონთა მაცხოვრებლების შეფასებასთან შედარებით. ამასთან, სხვა რეგიონების მიხედვით სტუდენტთა შეფასებებს შორის განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი.

იმდენად, რამდენადაც ყველაზე მეტი სტუდენტი თსუ-ში სწავლობს და გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობაც სწორედ ამ უნივერსიტეტიდანაა ყველაზე მეტი, საინტერესოდ მივიჩნით სტუდენტთა პასუხების გადანაწილება ქულების მიხედვით თითოეული კომპონენტისათვის, რომელიც ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზეა მოცემული.

**ცხრილი 16: თსუ-ს სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასება პროგრამის დაწყებამდე სკალაზე**

|   | არ<br>სრულიად<br>ფლობდი | სუსტად<br>განვითარებული | არც<br>თუ<br>კარგად<br>განვითარებული | განვითარებული | ძალიან<br>კარგად<br>განვითარებული | ფლობ<br>მშობლიური<br>ენას |
|---|-------------------------|-------------------------|--------------------------------------|---------------|-----------------------------------|---------------------------|
| <b>წერის უნარი</b>                        | 2.9%                    | 1.0%                    | 10.5%                                | 24.8%         | 38.1%                             | 22.9%                     |
| <b>წაკითხულის<br/>გააზრების<br/>უნარი</b> | 1.9%                    | 1.0%                    | 8.6%                                 | 24.8%         | 35.2%                             | 28.6%                     |
| <b>მოსმენის<br/>უნარი</b>                 | 1.9%                    | 3.8%                    | 15.2%                                | 24.8%         | 32.4%                             | 21.9%                     |
| <b>ლაპარაკის<br/>უნარი</b>                | 0.0%                    | 9.7%                    | 30.6%                                | 34.7%         | 19.4%                             | 5.6%                      |

როგორც ცხრილში ჩანს, სტუდენტების თითქმის 3% აღნიშნავს, რომ სრულიად არ ფლობდა ქართულ ენაზე წერის უნარს, ხოლო 1 %-ს კი სუსტად ჰქონდა ეს უნარი განვითარებული. თსუ-ში არც ერთი სტუდენტი არ მიიჩნევს, რომ ზეპირი მეტყველების უნარებს საერთოდ არ ფლობდა, ხოლო დაახლოებით 10% კი მიიჩნევს, რომ ძალიან სუსტად ჰქონდა განვითარებული ეს უნარი, 30% თვლის, რომ არც თუ



კარგად ჰქონდა განვითარებული, ხოლო 34% კი მიიჩნევს, რომ განვითარებული ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ ზეპირი მეტყველების უნარს უმაღლეს ქულას ყველაზე ნაკლები გამოკითხული სტუდენტი ანიჭებს სხვა კომპონენტებთან შედარებით.

ასევე, საინტერესოდ მივიჩნიეთ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების პასუხების გადანაწილება, სადაც კარგად ჩანს, არც ერთი სტუდენტი არ მიიჩნევს, რომ პროგრამის დაწყებამდე სრულიად ვერ ფლობდა წაკითხულის გააზრების, მოსმენისა და ზეპირი მეტყველების უნარებს, ხოლო სტუდენტთა თითქმის 6 პროცენტი მიიჩნევს, რომ წერით უნარებს ქართულ ენაში სრულიად ვერ ფლობდა პროგრამის დაწყებამდე. მეორე მხრივ, კარგად განვითარებული უნარები ზეპირ მეტყველებასა და მოსმენის უნარებში გამოკითხულთა ნახევარზე მეტს გააჩნდა, ხოლო წერითი და წაკითხულის გააზრების უნარები კი შესაბამისად, 29.4 % და 23.5%-ს. ასეთი გადანაწილებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის დასრულებისათვის მოსწავლეებს ყველაზე ნაკლებად განვითარებული წერითი კომპეტენციები გააჩნიათ.

**ცხრილი 17: სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების შეფასება პროგრამის დაწყებამდე**

| ენის კომპონენტი            | სრულიად ვერ ვფლობდი | სუსტად განვითარებული | განვითარებული | კარგად განვითარებული | მშობლიური ენასაკით განვითარებული |
|----------------------------|---------------------|----------------------|---------------|----------------------|----------------------------------|
| წერის უნარი                | 5.9%                | 35.3%                | 17.6%         | 29.4%                | 11.8%                            |
| წაკითხულის გააზრების უნარი | 0.0%                | 23.5%                | 29.4%         | 23.5%                | 23.5%                            |
| მოსმენის უნარი             | 0.0%                | 17.6%                | 17.6%         | 52.9%                | 11.8%                            |
| ზეპირი მეტყველების უნარი   | 0.0%                | 23.5%                | 23.5%         | 52.9%                | 0.0%                             |

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მოყვანილია პასუხების გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით თითოეულ კომპონენტთან მიმართებით.

**ცხრილი 18-21: სტუდენტების მიერ ენის ფლობის შეფასება ცალკეული კომპონენტების მიხედვით სკალაზე თითოეულ უნივერსიტეტში**

| წერა            | სრულიად ვერ ვფლობდი | სუსტად განვითარებული | განვითარებული | კარგად განვითარებული | მშობლიური ენასავით განვითარებული | ძალიან კარგად განვითარებული |
|-----------------|---------------------|----------------------|---------------|----------------------|----------------------------------|-----------------------------|
| თსუ             | 2.9%                | 1.0%                 | 10.5%         | 24.8%                | 38.1%                            | 22.9%                       |
| ილია            | 0.0%                | 4.2%                 | 25.0%         | 43.1%                | 20.8%                            | 6.9%                        |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%                | 5.9%                 | 35.3%         | 17.6%                | 29.4%                            | 11.8%                       |
| ტექნიკური       | 2.2%                | 2.2%                 | 8.9%          | 15.6%                | 31.1%                            | 40.0%                       |
| სამედიცინო      | 2.7%                | 16.2%                | 10.8%         | 24.3%                | 29.7%                            | 16.2%                       |

| წაკითხულის გააზრება | სრულიად ვერ ვფლობდი | სუსტად განვითარებული | განვითარებული | კარგად განვითარებული | მშობლიური ენასავით განვითარებული | ძალიან კარგად განვითარებული |
|---------------------|---------------------|----------------------|---------------|----------------------|----------------------------------|-----------------------------|
| თსუ                 | 1.9%                | 1.0%                 | 8.6%          | 24.8%                | 35.2%                            | 28.6%                       |
| ილია                | 1.4%                | 2.8%                 | 26.4%         | 25.0%                | 33.3%                            | 11.1%                       |
| სამცხე-ჯავახეთი     | 0.0%                | 0.0%                 | 23.5%         | 29.4%                | 23.5%                            | 23.5%                       |
| ტექნიკური           | 8.9%                | 4.4%                 | 8.9%          | 17.8%                | 37.8%                            | 22.2%                       |
| სამედიცინო          | 2.7%                | 0.0%                 | 29.7%         | 29.7%                | 24.3%                            | 13.5%                       |

| მოსმენა | სრულიად ვერ ვფლობდი | სუსტად განვითარებული | განვითარებული | კარგად განვითარებული | მშობლიური ენასავით განვითარებული | ძალიან კარგად განვითარებული |
|---------|---------------------|----------------------|---------------|----------------------|----------------------------------|-----------------------------|
| თსუ     | 1.9%                | 3.8%                 | 15.2%         | 24.8%                | 32.4%                            | 21.9%                       |
| ილია    | 0.0%                | 12.5%                | 40.3%         | 25.0%                | 16.7%                            | 5.6%                        |

|                 |      |      |       |       |       |       |
|-----------------|------|------|-------|-------|-------|-------|
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0% | 0.0% | 17.6% | 17.6% | 52.9% | 11.8% |
| ტექნიკური       | 2.2% | 6.7% | 13.3% | 22.2% | 24.4% | 31.1% |
| სამედიცინო      | 5.4% | 2.7% | 18.9% | 32.4% | 27.0% | 13.5% |

| ზეპირი მეტყველება | სრულიად ვერ ვფლობდი | სუსტად განვითარებული | განვითარებული | კარგად განვითარებული | მშობლიური ენასავით განვითარებული | ძალიან კარგად განვითარებული |
|-------------------|---------------------|----------------------|---------------|----------------------|----------------------------------|-----------------------------|
| თსუ               | 1.9%                | 4.8%                 | 20.0%         | 29.5%                | 28.6%                            | 15.2%                       |
| ილია              | 0.0%                | 9.7%                 | 30.6%         | 34.7%                | 19.4%                            | 5.6%                        |
| სამცხე-ჯავახეთი   | 0.0%                | 0.0%                 | 23.5%         | 23.5%                | 52.9%                            | 0.0%                        |
| ტექნიკური         | 4.4%                | 4.4%                 | 11.1%         | 35.6%                | 33.3%                            | 11.1%                       |
| სამედიცინო        | 5.4%                | 10.8%                | 27.0%         | 18.9%                | 24.3%                            | 13.5%                       |

კითხვარის ბოლო ნაწილში, რომელიც პროგრამის ასპექტების შეფასებას ისახავდა მიზნად, სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ ენობრივი შესაძლებლობები ქართულ ენაში პროგრამის დასრულებისათვის. შესაბამისად, დებულებები შემდეგნაირად ჟღერდა:

- ქართული ენის გამოყენება სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში (მაღაზიაში, ტრანსპორტში, კაფეში, მეგობართა და თანაკურსელთა წრეში და ა.შ.);
- ქართულ ენაზე სხვადასხვა ჟანრის მასალის კითხვა (ლექსი, ლიტერატურული ნაწარმოები, პუბლიცისტური ესეი,

აკადემიური ლიტერატურა, გაზეთი ჟურნალი)  
ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვა;


- კონკრეტული საკითხის კრიტიკული გააზრება და საკითხის გარშემო ქართულად ზეპირი პრეზენტაციის ან საჯარო განცხადების გაკეთება;
- წაკითხული მასალის კრიტიკული ანალიზის შედეგად ესეის, აკადემიური ნაშრომის, პუბლიცისტური წერილის, პროფესიული წერილის დაწერა ქართულ ენაზე;
- საჯარო გამოსვლების, ლექციების, ტელეგადაცემების, რადიოგადაცემების, სპექტაკლების, ფილმების მოსმენა, გაგება და გააზრება ქართულ ენაზე.

შესაბამისად, დებულებების შეფასება შესაძლებელი იყო შედარებით ჭრილში, სადაც სტუდენტების მიერ კითხვარის დასაწყისში შეფასებული საკუთარი ენობრივი უნარების განვითარების დინამიკა შეიძლებოდა დაგვეჩვენა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებში ჩანს სტუდენტების შეფასებები ენობრივი კომპონენტების მიხედვით პროგრამის დასაწყისსა და ბოლოსათვის.

როგორც ზეპირი სამეტყველო უნარების შეფასების შემთხვევაში კარგად ჩანს, სტუდენტების მიერ მაღალი ქულების გადანაწილება პროგრამის დასაწყისისა და დასასრულისათვის განსხვავებულია და პროგრამის დასასრულს მეტი სტუდენტი თვლის, რომ კარგად განვითარებული აქვს ზეპირი მეტყველების უნარები. ამასთან ყველა შემთხვევაში, კომუნიკაციური ენობრივი შესაძლებლობები უმნიშვნელოდ უკეთ არის განვითარებული სტუდენტების აღქმით,


ვიდრე აკადემიური სამეტყველო უნარები. ნაკლები შეფასება მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი შესაძლებლობების შეფასებისას გვხვდება პროგრამის დასრულებისათვის. კერძოდ, აკადემიური ზეპირი მეტყველების უნარი, რომელიც ზეპირად წარდგენისა და პრეზენტაციისთვისაა საჭირო, ნაკლები ქულით ფასდება, ვიდრე პროგრამის დასაწყისისათვის ზოგადი ზეპირი მეტყველების უნარი. საგრძნობი განსხვავება პროგრამის დასაწყისსა და დასასრულისათვის უნარების შეფასებაში ფიქსირდება სამედიცინო უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების პასუხების შემთხვევაში, სადაც განვითარების დინამიკა 10%-ზე მეტია ორივე, კომუნიკაციური და აკადემიური მეტყველების შემთხვევაში.

**დიაგრამა: 6 სტუდენტების პოზიტიური შეფასების (3-5 ქულა) საშუალო უნივერსიტეტების მიხედვით პროგრამის დაწყებამდე სამეტყველო ენის და პროგრამის დასრულების შემდეგ სხვადასხვა სოციალურ სიტუაციასა და ზეპირი პრეზენტაციის უნარებისათვის**



რაც შეეხება სტუდენტების წერით უნარებს, აქ ძალიან საინტერესო ტენდენცია შეინიშნება: სტუდენტების მაღალი შეფასებების საშუალო გვაჩვენებს, რომ ისინი წერით უნარებს პროგრამის დასაწყისში უფრო მეტად განვითარებულად მიიჩნევენ, ვიდრე პროგრამის დასასრულისათვის. კერძოდ კი, 5 ქულით (ძალიან კარგად განვითარებული), წერით უნარებს პროგრამის დასაწყისში აფასებს თითქმის 23 პროცენტი, ხოლო ბოლოში კი - 19%. ასევე, განსხვავებაა 4 ქულით (განვითარებული) შეფასებებს შორის და კვლავაც, პროგრამის დასაწყისში მეტი სტუდენტი აფასებს საკუთარ წერით უნარებს 4 ქულით. 3 ქულით ერთნაირი რაოდენობის სტუდენტი აფასებს საკუთარ უნარებს დასაწყისშიც და დასასრულსაც.


**დიაგრამა 7: თსუ-ს სტუდენტების მიერ წერითი უნარების განვითარების შეფასება პროგრამის დაწყებისა და პროგრამის დასასრულისათვის**



იგივე ტენდენცია ფიქსირდება სტუდენტების პასუხებში მოსმენილის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით; შეფასების ზრდა

პროგრამის დასასრულისაკენ ყველა უნივერსიტეტში ცხადადაა გამოკვეთილი, გარდა ტექნიკურისა. ილიას უნივერსიტეტში მაღალი ენობრივი თვითშეფასების მქონე სტუდენტების ზრდა განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოკვეთილი.

**დიაგრამა 8: პროგრამის დაწყებისა და დასასრულისათვის მოსმენილის გაგება-გააზრების უნარების უმაღლესი, 4-5 ქულით შეფასების საშუალო თითოეული უნივერსიტეტისათვის**



როგორც ნათლად იკვეთება, სტუდენტთა თვითშეფასება პროგრამის დაწყებამდე არსებული ცოდნის შესახებ გადაჭარბებულია. ამ გადაჭარბებულ თვითშეფასებაზე მეტყველებს კიდევ ორი ფაქტი. (1) იმავე სტუდენტთა თვითშეფასებას თუ დავეყრდნობით მათი ენობრივი კომპეტენცია ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ ასევე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება: ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ თვითშეფასებით 3-5 ქულით საკუთარ ენობრივი კომპეტენციებს გამოკითხულთა შემდეგი პროცენტი აფასებს: (1) წერის მიმართულებით: 83%; კითხვა - 90,9%; (3) მოსმენა - 94,2%; (4) ლაპარაკი - 88,8%.; (2) სტუდენტთა შეფასება არ ემთხვევა უნივერსიტეტების მიერ ჩატარებული პრეპროგრამისეული ტესტირების შედეგებს. თუ ავიღებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის დაწყების წინ

ჩატარებული პრეტესტის შედეგების მიხედვით სტუდენტთა დაყოფა ხდებოდა 3 ჯგუფად:

1. A1 დონის ჯგუფი - ელემენტარული, A1 დონისა და ე.წ. ნულოვანი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, რომელთაც ესაჭიროებოდათ A2 დონეზე კომპეტენციების ამაღლება;

2. A2 დონის ჯგუფი, რომელთა კომპეტენციებიც განისაზღვრებოდა A2 დონით და ესაჭიროებოდათ B1 დონეზე კომპეტენციების ამაღლება;

3. B1 დონის ჯგუფი - სტუდენტები, რომელთაც B2 დონეზე ესაჭიროებოდათ კომპეტენციების ამაღლება.

A1 ჯგუფის ზღვრად განისაზღვრა 0-12 ქულა (სკალირების შედეგად - 0-6 ქულა).

A2 ჯგუფის ზღვრად განისაზღვრა 13-30 ქულა (სკალირების შედეგად - 7-15 ქულა).

B1 ჯგუფის ზღვრად განისაზღვრა 31-40 ქულა (სკალირების შედეგად - 20 ქულა). სტუდენტთა გადანაწილება ენობრივი კომპეტენციების დონის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 22: თსუ-ს სტუდენტთა შედეგები პრე და პოსტტესტების მიხედვით**

| დონეები | პრეტესტის ქულები დონეების მიხედვით | სტუდენტთა გადანაწილება დონეების მიხედვით პრეტესტის შედეგად | პოსტტესტის ქულები დონეების მიხედვით | სტუდენტთა გადანაწილება დონეების მიხედვით პოსტტესტის შედეგად |
|---------|------------------------------------|--|-------------------------------------|---|
| A1      | 0-6                                | 32%  | 0-6                                 | 0%  |
| A2      | 7-15                               | 62%  | 7-15                                | 32%   |
| B1      | 16-18                              | 6%   | 16-18                               | 36%   |
| B2      |                                    |  | 19-20                               | 32%   |



პრეტესტის შედეგების მიხედვით, ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრულ მეოთხე დონეზე არცერთი სტუდენტი არ იმყოფებოდა. ხოლო პირველ სამ დონეზე ტესტირებაში მონაწილეთა გადანაწილება პრეტესტის მიხედვით ასეთი სურათი დაიდო: (ა) A1 ჯგუფში მოხვდა სტუდენტთა 32 %; (ბ) A2 ჯგუფში - 62 %; (გ) B1 ჯგუფში - 6%.

რაც შეეხება პოსტტესტს, ის გვიჩვენებს ცალსახა პროგრესს სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით, თუმცა პოსტტესტში ცხადი ხდება, რომ B2 დონეს მიაღწია სტუდენტთა მხოლოდ 32%-მა პროცენტმა. როგორც უნივერსიტეტის პრე- და პოსტტესტის ანალიზი გვიჩვენებს, სტუდენტთა 68% ვერ აღწევს B2-საც კი, რაც სულ მინიმალურად მაინც აუცილებელია საბაკალავრო დონეზე საგნების დასაუფლებლად, თუმცა სტუდენტების უმრავლესობა იღებს ქართული ენის ფლობის სერტიფიკატს, რადგან გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა და კრედიტების სისტემით დაძლეული აქვს პროგრამის კრედიტები. შესაბამისად, არსებული პროგრამა და მისი შეფასება არ არის ორიენტირებული სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის იმ დონემდე განვითარებამდე, რათა საბაკალავრო დონეზე ენობრივი პრობლემები არ შეექმნას სტუდენტს აკადემიური საგნების დასაუფლებლად. აქ ორი ტიპის პრობლემა:

1. სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტებისთვის 60 კრედიტიანი პროგრამა საერთოა, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტები ახდენენ სტუდენტთა გადანაწილებას ჯგუფებში ენობრივი კომპეტენციების მიხედვით;

2. კრედიტების აღებისა და ამაზე მიზნული შეფასების სისტემა რეალურად არ არის ეფექტური და მიუხედავად კრედიტების აღებისა და საუნივერსიტეტო საგნების ჩაბარებისა, სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ აღწევს საბაკალავრო დონეზე სასწავლებლად საჭირო ენობრივ კომპეტენციას.

საინტერესოა ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის პრეტესტსა და პოსტესტში მიღებული ქულების შედარება. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ნათელ სურათს ქმნის ამ თვალსაზრისით არსებულ პროგრესის შესახებ და აგრეთვე იმ კომპეტენციის შესახებ, რომელიც სტუდენტებს საბაკალავრო დონეზე გადასვლის ეტაპისთვის გააჩნიათ. პრაქტიკული გრამატიკის კომპეტენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური ენის ფლობის თვალსაზრისით:

**ცხრილი 23: პრაქტიკული გრამატიკის პრე- და პოსტესტის შედეგები თსუ-ში პროცენტულად**

| დონეები   | პრეტესტის ქულები დონეების მიხედვით | სტუდენტთა გადანაწილება დონეების მიხედვით პრეტესტის შედეგად | პოსტესტის ქულები დონეების მიხედვით | სტუდენტთა გადანაწილება დონეების მიხედვით პოსტესტის შედეგად |
|-----------|------------------------------------|--|------------------------------------|--|
| <b>A1</b> | 0-19                               | 24%  | 0-19                               | 4%   |
| <b>A2</b> | 20-30                              | 31%  | 20-30                              | 22%  |
| <b>B1</b> | 31+                                | 45%  | 31-36                              | 35%  |
| <b>B2</b> |                                    |  | 37+                                | 39%  |

პრაქტიკული გრამატიკის ფლობის თვალსაზრისითაც ისეთივე სიტუაციაა, როგორც ზოგადი ენობრივი კომპეტენციის შემთხვევაში. სტუდენტთა მხოლოდ 39%-ი აღწევს საბაკალავრო დონეზე

სწავლისთვის საჭირო ზღვარს, მიუხედავად იმისა, რომ ერთწლიან პროგრამაზე სწავლით მიღებული პროგრესი ამ კომპონენტშიც თვალსაჩინოა.

სტუდენტთა თვითშეფასების გადაჭარბებულობაზე ცალსახად მეტყველებს საბაკალავრო დონეზე არსებული პრობლემები, რომლებიც გამოვლინდა 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში (ტაბატაძე, გორგაძე, 2014) და აგრეთვე საბაკალავრო დონეზე კვოტირების სისტემით ჩარიცხული პირველი თაობის სტუდენტების უნივერსიტეტების მიტოვების მაღალი და უნივერსიტეტების დამთავრების დაბალი მაჩვენებელი, რომელიც უნივერსიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 24: 2010 წელს კვოტირებით ჩარიცხულ სტუდენტთა ბაკალავრიატის დასრულების მაჩვენებელი 2015 წლისთვის**

| უნივერსიტეტი                          | ჩაბარების წელი<br>საბაკალავრო<br>საფეხურზე<br>2011 | დაასრულა<br>საბაკალავრო<br>საფეხური<br>2015 წელს | უნივერსიტეტის<br>განსაზღვრულ<br>დროს<br>დამთავრების % |
|---------------------------------------|--|--|---|
| ილიას უნივერსიტეტი                    | 6  | 3  | 50%   |
| სამცხე-ჯავახეთის<br>უნივერსიტეტი      | 13   | 13   | 100%  |
| სამედიცინო უნივერსიტეტი               | 20   | 20   | 100%  |
| საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი | 25   | 25   | 100%  |
| თბილისის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი   | 143  | 13   | 9,1%  |

სტუდენტთა თვითშეფასება, უმაღლესი სასწავლებლების პრე და პოსტ ტესტირების შედეგები, საბაკალავრო პროგრამის დამთავრების

მაჩვენებელი მიუთითებს, რომ საჭიროა ენობრივი შეფასების სისტემის შემუშავება, რომელიც რეალურად ასახავს სტუდენტთა ენობრივ კომპეტენციებს, როგორც უმაღლესში ჩაბარების, აგრეთვე ერთწლიანი პროგრამის დამთავრების მომენტისთვის, ასევე, განსაზღვრავს იმ ზღვარს, რომლის მიღწევაც სავალდებულოა საბაკალავრო დონეზე სწავლისთვის, ხოლო ამ ზღვრის მისაღწევად უნივერსიტეტები შეძლებენ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შეთავაზებას, რომელიც დააკმაყოფილებდა სტუდენტთა საჭიროებებს.

## სასწავლო გარემოთი და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო, გაგვეჩვენა, რამდენად კარგად არის ქართული ენის სწავლების ერთწლიანი პროგრამა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფილი. ამ საკითხის შესასწავლად კითხვარის მეშვეობით შევეცადეთ გაგვეჩვენა სტუდენტთა შეფასებები სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებული ვითარების შესახებ და აგრეთვე მიგვეჩვენა ინფორმაცია უშუალოდ უნივერსიტეტებისგან, თუ რა მიმართულებით მუშაობს თითოეული მათგანი სასწავლო რესურსების შექმნისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სტუდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ ის სასწავლო რესურსები, რომლებიც გამოიყენება ქართული ენის პროგრამაში სწავლის პროცესში. შესაბამისად, ისინი აფასებდნენ:

- პროგრამაში სასწავლო სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობას;
- პროგრამაში გამოყენებული სახელმძღვანელოების მრავალფეროვანებასა და მრავალმხრივობას;
- პროგრამაში გამოყენებული სავალდებულო სახელმძღვანელოების რაოდენობის საკმარისობას ერთწლიანი პროგრამის დასაძლევად;
- პროგრამაში გამოყენებული სახელმძღვანელოების თანამიმდევრულობას, ერთმანეთთან თავსებადობასა და ენის დონის ეტაპობრივ გაუმჯობესების უზრუნველყოფას;
- პროგრამაში ლექტორებისა და სტუდენტებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობას, რაც საშუალებას აძლევს ლექტორსა და სტუდენტს, გამოიყენოს დამატებითი რესურსები;
- პროგრამაში პრინტერისა და ასლის გადამღები მანქანის ხელმისაწვდომობას, რაც შესაძლებლობას მისცემდა ლექტორებსა და სტუდენტებს სახელმძღვანელოების მიღმა დამატებითი რესურსები გამოეყენებინათ;
- პროგრამაში საკანცელარიო საქონლის ხელმისაწვდომობას, თვალსაჩინოებებისა და ენის სწავლების პროცესისთვის საჭირო სხვა რესურსების არსებობას.

სასწავლო მასალის შეფასებისას, ტენდენცია არ იცვლება.

სტუდენტები მეტწილად მაღალი ქულით აფასებენ დებულებებს.

ქვემოთ მოცემულია ცხრილები, სადაც სტუდენტების პასუხების გადანაწილებაა დებულებებზე:

**ცხრილი 25: სტუდენტების მიერ სახელმძღვანელოების მრავალფეროვნებისა და მრავალმხრივობის შეფასება**

| უნივერსიტეტი    | სახელმძღვანელოების მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა |      |       |       |       |       |
|-----------------|--|------|-------|-------|-------|-------|
|                 | 0  | 1    | 2     | 3     | 4     | 5     |
| თსუ             | 0.0%   | 1.9% | 7.6%  | 30.5% | 39.0% | 20.0% |
| ილია            | 0.0%   | 1.4% | 0.0%  | 18.1% | 37.5% | 43.1% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%   | 0.0% | 23.5% | 11.8% | 52.9% | 11.8% |
| ტექნიკური       | 6.7%   | 4.4% | 17.8% | 37.8% | 22.2% | 11.1% |
| სამედიცინო      | 2.7%   | 2.7% | 10.8% | 18.9% | 40.5% | 24.3% |
| საშუალოდ        | 1.4%   | 2.2% | 8.7%  | 25.7% | 37.0% | 24.6% |

**ცხრილი 26: სტუდენტების მიერ სახელმძღვანელოების საკმარისობის შეფასება**

| უნივერსიტეტი    | სავალდებულო სახელმძღვანელოების საკმარისობა |      |       |       |       |       |
|-----------------|--|------|-------|-------|-------|-------|
|                 | 0  | 1    | 2     | 3     | 4     | 5     |
| თსუ             | 1.0%                                       | 1.9% | 7.6%  | 26.7% | 38.1% | 24.8% |
| ილია            | 1.4%                                       | 1.4% | 5.6%  | 25.0% | 37.5% | 29.2% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%                                       | 5.9% | 5.9%  | 17.6% | 41.2% | 29.4% |
| ტექნიკური       | 8.9%                                       | 4.4% | 26.7% | 13.3% | 28.9% | 17.8% |
| სამედიცინო      | 2.7%                                       | 2.7% | 8.1%  | 24.3% | 45.9% | 16.2% |
| საშუალოდ        | 2.5%                                       | 2.5% | 10.1% | 23.2% | 37.7% | 23.9% |

**ცხრილი 27: სტუდენტების მიერ სახელმძღვანელოების თანმიმდევრულობისა და თავსებადობის შეფასება**

| უნივერსიტეტი | სახელმძღვანელოების თანმიმდევრულობა და თავსებადობა |
|--------------|---|
|--------------|---|

|                 | 0    | 1     | 2     | 3     | 4     | 5     |
|-----------------|------|-------|-------|-------|-------|-------|
| ოსკ             | 0.0% | 1.0%  | 5.7%  | 33.3% | 44.8% | 14.3% |
| ილია            | 0.0% | 0.0%  | 8.3%  | 30.6% | 41.7% | 19.4% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0% | 0.0%  | 5.9%  | 23.5% | 52.9% | 17.6% |
| ტექნიკური       | 2.2% | 11.1% | 24.4% | 20.0% | 20.0% | 22.2% |
| სამედიცინო      | 0.0% | 2.7%  | 8.1%  | 29.7% | 45.9% | 13.5% |
| საშუალოდ        | 0.4% | 2.5%  | 9.8%  | 29.3% | 40.6% | 17.0% |

სამივე დებულების შეფასებისას, ერთი და იგივე ტენდენციას ვხვდებით; სტუდენტების მეტი ნაწილი 5-უმადლესიდან 4 ქულით აფასებს როგორც სახელმძღვანელოების მრავალფეროვნებას, ასევე მის საკმარისობას, თანამიმდევრულობასა და თავსებადობას.

რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, საგულისხმოა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების 17%-ზე მეტი, კითხვაზე პასუხისგან თავს იკავებს, არ თვლის მას რელევანტურად და ამდენივე პროცენტი აფასებს ხელმისაწვდომობას ყველაზე დაბალი ქულით. სამედიცინო უნივერსიტეტში კი, ყველაზე დაბალი, 1 ქულით ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას 27% აფასებს. ყველაზე მაღალი შეფასება ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების შემთხვევაში ფიქსირდება. თითქმის 82% სტუდენტებისა ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას უმაღლესი ქულებით აფასებს.

**ცხრილი 28: სტუდენტების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის შეფასება**

|              |   |
|--------------|---|
| უნივერსიტეტი | თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა |
|--------------|---|

|                        | არ არის რელევანტური | არ არის საკმარისი | არც თუ ისე საკმარისია | მეტწილად საკმარისია | ძირითადად საკმარისია | სრულიად საკმარისია |
|------------------------|---------------------|-------------------|-----------------------|---------------------|----------------------|--------------------|
| <b>თსუ</b>             | 1.9%                | 1.0%              | 10.5%                 | 19.0%               | 26.7%                | 41.0%              |
| <b>ილია</b>            | 0.0%                | 0.0%              | 2.8%                  | 15.3%               | 33.3%                | 48.6%              |
| <b>სამცხე-ჯავახეთი</b> | 0.0%                | 5.9%              | 17.6%                 | 29.4%               | 29.4%                | 17.6%              |
| <b>ტექნიკური</b>       | 17.8%               | 17.8%             | 6.7%                  | 15.6%               | 22.2%                | 20.0%              |
| <b>სამედიცინო</b>      | 13.5%               | 27.0%             | 18.9%                 | 10.8%               | 18.9%                | 10.8%              |

ქვემოთ მოცემულია მეორე ცხრილი, სადაც უკვე სტუდენტების მიერ გამოყენების შეფასება ხდება.

**ცხრილი 29: სტუდენტების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი                   | 0     | 1     | 2     | 3     | 4     | 5     |
|--------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| <b>თსუ</b>                     | 0.0%  | 7.6%  | 16.2% | 20.0% | 31.4% | 24.8% |
| <b>ილიაუნი</b>                 | 0.0%  | 0.0%  | 2.8%  | 9.7%  | 29.2% | 58.3% |
| <b>სამცხე-ჯავახეთი</b>         | 0.0%  | 17.6% | 5.9%  | 41.2% | 35.3% | 0.0%  |
| <b>ტექნიკური უნივერსიტეტი</b>  | 37.8% | 2.2%  | 8.9%  | 20.0% | 20.0% | 11.1% |
| <b>სამედიცინო უნივერსიტეტი</b> | 21.6% | 21.6% | 10.8% | 21.6% | 18.9% | 5.4%  |

თუ ამ ორ ცხრილს ერთმანეთს შევადარებთ, საინტერესო ტენდენციას შევამჩნევთ: ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები უფრო



ხშირად აფასებენ თანამედროვე გამოყენებას უმაღლესი შეფასებით, ვიდრე მის ხელმისაწვდომობას.

ქვემოთ მოცემულია პრინტერის, ასლების გადასაღები მანქანის და საკანცელარიო ნივთების ხელმისაწვდომობის შეფასება. საგულისხმოა, რომ ამ რესურსების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვაგვარად ფასდება. თსუ-ს სტუდენტების 40% მიიჩნევს, რომ საკანცელარიო ნივთები ძირითადად საკმარისია, ხოლო პრინტერისა და ასლების გადასაღები მანქანა ყველაზე ინტენსიურად ხელმისაწვდომი სამცხე-ჯავახეთის სტუდენტებისთვის არის.

**ცხრილი 30: სტუდენტების მიერ პრინტერისა და ასლების გადასაღები მანქანის ხელმისაწვდომობის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი    | პრინტერისა და ასლების გადასაღები მანქანის ხელმისაწვდომობა |                   |                       |                         |                      |                    |
|-----------------|---|-------------------|-----------------------|-------------------------|----------------------|--------------------|
|                 | არ არის რელევანტი   | არ არის საკმარისი | არც თუ ისე საკმარისია | მეტ-ნაკლებად საკმარისია | ძირითადად საკმარისია | სრულიად საკმარისია |
| თსუ             | 15.2%   | 6.7%              | 13.3%                 | 29.5%                   | 17.1%                | 18.1%              |
| ილია            | 1.4%  | 11.1%             | 8.3%                  | 29.2%                   | 19.4%                | 30.6%              |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%  | 5.9%              | 17.6%                 | 5.9%                    | 35.3%                | 35.3%              |
| ტექნიკური       | 11.1%   | 4.4%              | 6.7%                  | 22.2%                   | 26.7%                | 28.9%              |
| სამედიცინო      | 2.7%  | 5.4%              | 8.1%                  | 29.7%                   | 35.1%                | 18.9%              |

**ცხრილი 31: სტუდენტების მიერ საკანცელარიო ნივთების ხელმისაწვდომობის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით**

|  | საკანცელარიო ნივთების ხელმისაწვდომობა |
|--|---------------------------------------|
|--|---------------------------------------|

| უნივერსიტეტი    | არ არის რელევანტური | არ არის საკმარისი | არც თუ ისე საკმარისია | მეტნაკლებად საკმარისია | ძირითადად საკმარისია | სრულიად საკმარისია |
|-----------------|---------------------|-------------------|-----------------------|------------------------|----------------------|--------------------|
| თსუ             | 5.7%                | 2.9%              | 17.1%                 | 17.1%                  | 40.0%                | 16.2%              |
| ილია            | 5.6%                | 5.6%              | 12.5%                 | 27.8%                  | 34.7%                | 13.9%              |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%                | 5.9%              | 35.3%                 | 17.6%                  | 41.2%                | 0.0%               |
| ტექნიკური       | 6.7%                | 13.3%             | 6.7%                  | 31.1%                  | 15.6%                | 26.7%              |
| სამედიცინო      | 0.0%                | 8.1%              | 10.8%                 | 24.3%                  | 45.9%                | 8.1%               |

პროგრამის სახელმძღვანელოებით, ტექნოლოგიური პროდუქტებით, სასწავლო ლიტერატურითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფაზე საუბრობენ თითოეულ უნივერსიტეტში პროგრამის ანგარიშის სახით მოწოდებულ ინფორმაციაშიც. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის კვლევასთან შედარებით მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, როგორც სასწავლო რესურსების, დამხმარე ლიტერატურის, ტექნოლოგიური სასწავლო რესურსების, აგრეთვე საინტეგრაციო კლასგარეშე აქტივობების გამართვის თვალსაზრისით. მიუხედავად ხელმისაწვდომობის ზრდისა და რეალური პროგრესისა, შედარებით პრობლემატური რჩება ამ რესურსების ეფექტური უტილიზაცია. როგორც პროფესორ-მასწავლებლების, აგრეთვე სტუდენტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ პროდუქტებს, როგორც სწავლების აგრეთვე ადმინისტრირების მიმართულებით და ამის დადასტურებაა, ელექტრონული

რესურსებით (მათ შორის - moodle- პლატფორმით) კურსების წაკითხვის მაჩვენებელი, ელექტრონული ფოსტის მოხმარების მაჩვენებელი, რომელიც უნივერსიტეტის ტექნოლოგიების შესაბამისი განყოფილებიდან მიღებული ზეპირი კომუნიკაციისა და პლატფორმაზე წვდომის შედეგად გადამოწმებული ინფორმაციით ძალიან დაბალია. შესაბამისად, შემდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მომზადება თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით სწავლების პროცესში და კონკრეტულად - ენის სწავლების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს განვითარებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

## მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. როგორც უნივერსიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციიდან თვალნათლივ ჩანს, ამ მიმართულებით უმაღლეს სასწავლებლებს აქტივობები ნაკლებად აქვთ ჩატარებული. თუკი სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიების გამოყენების საინტეგრაციო, სოციალური აქტივობების ჩამონათვალი მკვეთრად არის გაზრდილი და სახეზეა ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტებისა თუ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი

ძალისხმევა, აკადემიური პერსონალის განვითარების თვალსაზრისით, პროგრესი ნაკლებად შესამჩნევია.

ამ ფონზე საინტერესოა სტუდენტთა შეფასება მასწავლებელთა კვალიფიკაციის შესახებ და სასწავლო პროცესში მრავალმხრივი და ეფექტური სტრატეგიების გამოყენების თაობაზე.

მასწავლებელთა შეფასება სტუდენტებს რამდენიმე მიმართულებით ვთხოვეთ. კონკრეტულად კი, შეეფასებინათ მათი კვალიფიკაცია, მოტივაცია, მოლოდინები სტუდენტებისგან, ტოლერანტობა, დამოკიდებულება მიზნობრივი ეთნიკური ჯგუფის მიმართ და პატივისცემა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 0 -ნიშნავდა არარელევანტურს ან უარს პასუხზე, ხოლო დანარჩენი რიცხვები კი მზარდ ინტენსივობას, ეფექტურობას და ა.შ.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ სტუდენტების მიერ პროგრამის მასწავლებელთა შეფასება ძალიან მაღალია.

ქვემოთ მოცემულია ცხრილები, სადაც სტუდენტების მიერ მასწავლებლების მაღალი შეფასებებია წარმოდგენილი (3-დან 5 ქულამდე) ყველა იმ ასპექტთან მიმართებით, რომელიც ზემოთაა ჩამოთვლილი და მნიშვნელოვნად ჩაითვალა მასწავლებელთა ეფექტურობაზე მსჯელობისთვის. ცხრილებში კარგად ჩანს, რომ ყველა უნივერსიტეტში მასწავლებლები ძალიან მაღალი ქულებითაა შეფასებული. განსაკუთრებით ინტენსიურად მაღალი ქულები მინიჭებული აქვთ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებმაც ყველამ უკლებლივ კვალიფიკაციასა და სტუდენტების მიმართ პატივისცემის ასპექტებს ხუთიდან ხუთი ქულა მიანიჭეს.

ტოლერანტობას, დამოკიდებულებასა და მოლოდინებს სტუდენტებთან მიმართებით 82%-ზე მეტი სტუდენტი აფასებს უმაღლესი, 5 ქულით, ხოლო მოტივაციას კი, 76.5%. ზოგადად, ყველაზე მეტი სტუდენტი უმაღლესი ქულით მასწავლებლებს სტუდენტების მიმართ პატივისცემის ასპექტში აფასებს. რეალურად, რაიმე ტიპის ტენდენცია, რომ რომელიმე უნივერსიტეტში ან რომელიმე ასპექტთან მიმართებით არსებობდეს არაპოზიტიური დამოკიდებულება, არ აღინიშნება.

**ცხრილი 32-33: სტუდენტების მიერ პროგრამის მასწავლებლების შეფასება სამი უმაღლესი ქულით (3-5 ქულა)**

| უნივერსიტეტი    | კვალიფიკაცია       |        |               | მოტივაცია          |        |               | მოლოდინები სტუდენტების მიმართ |        |               |
|-----------------|--------------------|--------|---------------|--------------------|--------|---------------|-------------------------------|--------|---------------|
|                 | მეტნაკლებად მაღალი | მაღალი | ძალიან მაღალი | მეტნაკლებად მაღალი | მაღალი | ძალიან მაღალი | მეტნაკლებად მაღალი            | მაღალი | ძალიან მაღალი |
| ოსუ             | 14.3%              | 40.0%  | 45.7%         | 17.1%              | 49.5%  | 28.6%         | 15.2%                         | 40.0%  | 42.9%         |
| ილია            | 15.3%              | 22.2%  | 56.9%         | 9.7%               | 31.9%  | 54.2%         | 18.1%                         | 38.9%  | 34.7%         |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%               | 0.0%   | <b>100.0%</b> | 0.0%               | 11.8%  | <b>76.5%</b>  | 5.9%                          | 11.8%  | <b>82.4%</b>  |
| ტექნიკური       | 20.0%              | 20.0%  | 44.4%         | 22.2%              | 22.2%  | 35.6%         | 26.7%                         | 37.8%  | 28.9%         |
| სამედიცინო      | 5.4%               | 8.1%   | <b>86.5%</b>  | 10.8%              | 18.9%  | <b>70.3%</b>  | 8.1%                          | 35.1%  | <b>54.1%</b>  |

| უნივერსიტეტი    | ტოლერანტობა        |        |               | დამოკიდებულება და განწყობა |        |               | პატივისცემა        |        |               |
|-----------------|--------------------|--------|---------------|----------------------------|--------|---------------|--------------------|--------|---------------|
|                 | მეტნაკლებად მაღალი | მაღალი | ძალიან მაღალი | მეტნაკლებად მაღალი         | მაღალი | ძალიან მაღალი | მეტნაკლებად მაღალი | მაღალი | ძალიან მაღალი |
| ოსუ             | 11.4%              | 37.1%  | 47.6%         | 10.5%                      | 26.7%  | 55.2%         | 7.6%               | 33.3%  | 56.2%         |
| ილია            | 9.7%               | 29.2%  | 48.6%         | 12.5%                      | 25.0%  | 55.6%         | 6.9%               | 16.7%  | 76.4%         |
| სამცხე-ჯავახეთი | 5.9%               | 11.8%  | <b>82.4%</b>  | 0.0%                       | 17.6%  | <b>82.4%</b>  | 0.0%               | 0.0%   | <b>100.0%</b> |
| ტექნიკური       | 17.8%              | 37.8%  | 40.0%         | 13.3%                      | 33.3%  | 48.9%         | 4.4%               | 28.9%  | 62.2%         |
| სამედიცინო      | 2.7%               | 27.0%  | <b>70.3%</b>  | 0.0%                       | 16.2%  | <b>81.1%</b>  | 2.7%               | 10.8%  | <b>86.5%</b>  |

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები ნაკლებად არის წარმოდგენილი უნივერსიტეტების ანგარიშებში, სტუდენტთა შეფასება მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სტრატეგიებისაა ცალსახად პოზიტიურია. რეალური

სიტუაციის შესასწავლად და სტუდენტთა აღქმების გადასამოწმებლად უპრიანი იქნება მომდევნო კვლევების სახით უნივერსიტეტებთან ერთად სპეციალური დაკვირვების ფორმის შემუშავება და მის საფუძველზე სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც, ერთი მხრივ, მოგვცემს რეალურ სურათს სწავლების მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტებსა და დაინტერესებულ მხარეებს მისცემს შესაძლებლობას, ეფექტურად დაგეგმონ და განახორციელონ მასწავლებელთა და პროფესორთა პროფესიული განვითარების ეფექტური პროგრამები.

## გამოყენებული სწავლების სტრატეგიებისა და მიდგომების შეფასება

კითხვაზე - ქართული ენის საინტერესო და მრავალფეროვანი კურსების შესახებ, იგივე ტენდენცია ფიქსირდება. კერძოდ კი, სტუდენტები მაღალ შეფასებას ანიჭებენ კურსების მრავალფეროვან ხასიათს. თუმცა, ამ შემთხვევაში საინტერესოა არა იმდენად მაღალი შეფასებები, რამდენადაც დაბალი. მაგალითად, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების 13.5 პროცენტი კურსების მრავალფეროვნებასა და საინტერესოობას 1 ან 2 ქულით აფასებს, ხოლო 8.1 კი არარელევანტურად მიიჩნევს ან თავს იკავებს კურსების შეფასებაზე. ასევეა საინტერესო, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის გამოკითხული სტუდენტთა 21%-ზე მეტი კურსებს 1 ან 2 ქულით

ავასებს. ნიშანდობლივია, რომ ყველა უნივერსიტეტში სტუდენტთა დაახლოებით 33-35% კურსებს ხუთი უმაღლესიდან 4 ქულით ავასებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია სტუდენტების პასუხების გადანაწილება თითოეული ასპექტის მიმართ, რომელიც პროგრამის ხედვასა და გამოყენებულ სტრატეგიებს უკავშირდება.

**ცხრილი 34: სტუდენტების მიერ პროგრამის კურსების შეფასება საინტერესობისა და მრავალფეროვნების კუთხით**

|                        | ქართული ენის საინტერესო და მრავალფეროვანი კურსები |       |       |       |       |       | არ არის რელევანტი / უპასუხო |
|------------------------|---|-------|-------|-------|-------|-------|-----------------------------|
|                        | 0   | 1     | 2     | 3     | 4     | 5     |                             |
| <b>თსუ</b>             | 1.0%  | 1.0%  | 7.6%  | 26.7% | 35.2% | 26.7% | 1.9%                        |
| <b>ილია</b>            | 0.0%  | 0.0%  | 1.4%  | 6.9%  | 33.3% | 58.3% | 0.0%                        |
| <b>სამცხე-ჯავახეთი</b> | 0.0%  | 0.0%  | 0.0%  | 29.4% | 35.3% | 35.3% | 0.0%                        |
| <b>ტექნიკური</b>       | 0.0%  | 17.8% | 4.4%  | 20.0% | 35.6% | 22.2% | 0.0%                        |
| <b>სამედიცინო</b>      | 8.1%  | 13.5% | 13.5% | 21.6% | 35.1% | 8.1%  | 0.0%                        |
| <b>საშუალო</b>         | 1.4%  | 5.1%  | 5.8%  | 19.9% | 34.8% | 32.2% | 0.7%                        |

კვლავაც იმავე ტიპის ტენდენცია ფიქსირდება პროგრამაში სტუდენტების მიერ ენის ფლობის დონისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე გათვალისწინებული მიდგომების გამოყენების შეფასებისას. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების 15%-ზე მეტი არარელევანტურად მიიჩნევს ან თავს იკავებს პასუხის გაცემისგან, ხოლო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების 21%-ზე მეტი კი, პროგრამაში ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას 1 ან 2 შეფასებას აძლევს. სამცხე-ჯავახეთი არის ერთადერთი უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტებმა საჭიროებების გათვალისწინების შეფასება სკალის მხოლოდ 3, 4 ან 5 ქულით მოახდინეს.

**ცხრილი 35: სტუდენტების ენის ფლობისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შეფასება პროგრამის ფარგლებში**

|                        | სტუდენტების ენის ფლობის და ინდ. საჭიროებების გათვალისწინება |      |       |       |       |       | არ არის რელევანტური / უპასუხო |
|------------------------|---|------|-------|-------|-------|-------|-------------------------------|
|                        | 0   | 1    | 2     | 3     | 4     | 5     |                               |
| <b>ოსუ</b>             | 0.0%  | 1.0% | 4.8%  | 23.8% | 39.0% | 29.5% | 1.9%                          |
| <b>ილია</b>            | 0.0%  | 0.0% | 4.2%  | 27.8% | 41.7% | 26.4% | 0.0%                          |
| <b>სამცხე-ჯავახეთი</b> | 0.0%  | 0.0% | 0.0%  | 11.8% | 64.7% | 23.5% | 0.0%                          |
| <b>ტექნიკური</b>       | 15.6%   | 4.4% | 11.1% | 24.4% | 22.2% | 22.2% | 0.0%                          |
| <b>სამედიცინო</b>      | 2.7%  | 8.1% | 13.5% | 32.4% | 32.4% | 10.8% | 0.0%                          |
| <b>საშუალო</b>         | 2.9%  | 2.2% | 6.5%  | 25.4% | 37.7% | 24.6% | 0.7%                          |

რაც შეეხება სტუდენტების მიერ მრავალფეროვანი სწავლის მეთოდების გამოყენებას, იგივე ტენდენცია ფიქსირდება ტექნიკური უნივერსიტეტის შემთხვევაში, სადაც 17%-ზე მეტი არარელევანტურად მიიჩნევს ან არ აფასებს ამ დებულებას. კვლავაც, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტები მხოლოდ 3-5 ქულით აფასებენ მეთოდების გამოყენებას. ამასთან ნახევარზე მეტი 5 ქულით აფასებს გამოყენებული სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას.

**ცხრილი 36: სტუდენტების მიერ სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების შეფასება სკალაზე**

|                        | მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენება |      |       |       |       |       |
|------------------------|---|------|-------|-------|-------|-------|
|                        | 0   | 1    | 2     | 3     | 4     | 5     |
| <b>ოსუ</b>             | 0.0%  | 1.9% | 5.7%  | 23.8% | 38.1% | 30.5% |
| <b>ილია</b>            | 0.0%  | 4.2% | 2.8%  | 13.9% | 40.3% | 38.9% |
| <b>სამცხე-ჯავახეთი</b> | 0.0%  | 0.0% | 0.0%  | 11.8% | 35.3% | 52.9% |
| <b>ტექნიკური</b>       | 17.8%   | 8.9% | 11.1% | 22.2% | 20.0% | 20.0% |
| <b>სამედიცინო</b>      | 0.0%  | 0.0% | 16.2% | 13.5% | 37.8% | 32.4% |
| <b>საშუალო</b>         | 2.9%  | 3.3% | 6.9%  | 18.8% | 35.5% | 32.6% |



საინტერესოა ის გადანაწილება, რომელიც სტუდენტების მიერ დიფერენცირებული მეთოდების გამოყენების შეფასებისას მივიღეთ. კერძოდ კი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების პასუხები, სადაც 11.8% არარელევანტურად მიიჩნევს ან პასუხისგან თავს იკავებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების შეფასებისგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია პასუხების გადანაწილება თითოეული უნივერსიტეტებისათვის.


**ცხრილი 37: სკალაზე გადანაწილება სტუდენტების მიერ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების შეფასებისას**

|                        | დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება |      |       |       |       |       | არ არის რელევანტური / უპასუხო |
|------------------------|---------------------------------------|------|-------|-------|-------|-------|-------------------------------|
|                        | 0                                     | 1    | 2     | 3     | 4     | 5     |                               |
| <b>თსუ</b>             | 3.8%                                  | 1.0% | 8.6%  | 27.6% | 34.3% | 23.8% | 1.0%                          |
| <b>ილია</b>            | 1.4%                                  | 1.4% | 2.8%  | 38.9% | 37.5% | 16.7% | 1.4%                          |
| <b>სამცხე-ჯავახეთი</b> | 11.8%                                 | 0.0% | 11.8% | 11.8% | 58.8% | 5.9%  | 0.0%                          |
| <b>ტექნიკური</b>       | 22.2%                                 | 4.4% | 11.1% | 22.2% | 20.0% | 20.0% | 0.0%                          |
| <b>სამედიცინო</b>      | 8.1%                                  | 0.0% | 8.1%  | 24.3% | 43.2% | 13.5% | 2.7%                          |
| <b>საშუალო</b>         | 7.2%                                  | 1.4% | 7.6%  | 28.3% | 35.5% | 18.8% | 1.1%                          |

საინტერესოდ მივიჩნით სამცხე-ჯავახეთის სტუდენტების მიერ, ერთი მხრივ, სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმილი სწავლებისა და, მეორე მხრივ კი - დიფერენცირებული სწავლების შეფასებების გადანაწილების შედარება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ სტუდენტები, რომლებიც საჭიროებებისა და უნარების გათვალისწინებას სწავლების პროცესში პრაქტიკულად მხოლოდ მაღალი ქულით აფასებენ, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას უმაღლეს ქულით

მხოლოდ 6%-მდე აფასებენ, ხოლო არარელევანტურად - 11.8% მიიჩნევენ... ამ შედარებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები ზუსტად ვერ აცნობიერებენ, თუ რას ნიშნავს დიფერენცირებული მიდგომა და რატომ არის ის კავშირში სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებისა და უნარების გათვალისწინებასთან.

**დიაგრამა 9: სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დიფერენცირებული მიდგომებისა და სტუდენტების საჭიროებებზე დაფუძნებული სწავლების შეფასებების შედარება**



რაც შეეხება დანარჩენ დებულებებს, რომლებიც სწავლის პროცესში გამოყენებულ სტრატეგიებსა და მიდგომებს აფასებდა, ისინი ასე ჟღერდნენ:

შეაფასეთ თითოეული ასპექტი 0-დან 5-მდე ქულით ეფექტურობის ზრდის შესაბამისად:

- კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა და გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და სტუდენტთა მოტივაციისა და ჩართულობის გასაზრდელად;

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად;
- აუდიო-ვიდეო აპარატურის გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- განმავითარებელი (წამახალისებელი) შეფასებების გამოყენება მასწავლებლების მიერ ენის სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად;
- საშინაო დავალებების გამოყენება სწავლების პროცესში, რომლებიც ძალიან სასარგებლო იყო ენის ფლობის გასაუმჯობესებლად.

არაერთგვაროვანია სტუდენტების მიერ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და გამოყენების შეფასება, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:

**ცხრილი 38: სტუდენტების მიერ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი    | 0     | 1     | 2     | 3     | 4     | 5     |
|-----------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| თსუ             | 2.9%  | 4.8%  | 9.5%  | 19.0% | 37.1% | 26.7% |
| ილია            | 1.4%  | 0.0%  | 5.6%  | 26.4% | 33.3% | 33.3% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%  | 11.8% | 11.8% | 41.2% | 35.3% | 0.0%  |
| ტექნიკური       | 37.8% | 6.7%  | 8.9%  | 13.3% | 20.0% | 13.3% |
| სამედიცინო      | 18.9% | 5.4%  | 13.5% | 37.8% | 21.6% | 2.7%  |

ასე, მაგალითად, უმაღლესი შეფასებით ამ კომპონენტს არც ერთი სტუდენტი არ აფასებს სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტში და 2.7% აფასებს სამედიცინო უნივერსიტეტში, 13.3% კი ტექნიკურ უნივერსიტეტში. საინტერესოა, რომ 0 ქულით აფასებენ კლასგარეშე

მუშაობის დაგეგმვასა და გამოყენებას ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების 37.8% და სამედიცინო უნივერსიტეტის 18.9%.

ასევე, საკმაოდ განსხვავებულია სტუდენტთა შეფასება ტექნოლოგიების გამოყენების შეფასებისას.

**ცხრილი 39: სტუდენტების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი    | 0     | 1     | 2     | 3     | 4     | 5     |
|-----------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| თსუ             | 0.0%  | 7.6%  | 16.2% | 20.0% | 31.4% | 24.8% |
| ილია            | 0.0%  | 0.0%  | 2.8%  | 9.7%  | 29.2% | 58.3% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%  | 17.6% | 5.9%  | 41.2% | 35.3% | 0.0%  |
| ტექნიკური       | 37.8% | 2.2%  | 8.9%  | 20.0% | 20.0% | 11.1% |
| სამედიცინო      | 21.6% | 21.6% | 10.8% | 21.6% | 18.9% | 5.4%  |

კვლავაც, ტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტების დიდი ნაწილი არარელევანტურად მიიჩნევს ან უარს ამბობს ამ მიმართულებით მიდგომებისა და სტრატეგიების შეფასებაზე. ამ ფონზე, საინტერესოა, რომ ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების 60%-მდე ტექნოლოგიების გამოყენებას ყველაზე მაღალი ქულით აფასებს, ხოლო 30%- კი ხუთი უმაღლესიდან 4 ქულით. თუ გავითვალისწინებთ იმ ტენდენციას, რომელიც გამოკითხვის დროს დაფიქსირდა და გულისხმობს სტუდენტების მიერ ყველა ასპექტზე დადებითი დამოკიდებულების გამოხატვას, უნდა ვივარაუდოთ, რომ პასუხების ასეთი განსხვავებული დისტრიბუცია შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა უნივერსიტეტში თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოყენების განსხვავებულ ინტენსივობაზე.

ასეთსავე ტენდენციას აჩვენებს აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენების შეფასებაც, რომელიც უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტამდე საკმაოდ განსხვავებულია:

**ცხრილი 40: სტუდენტების მიერ აუდიო-ვიდეო აპარატურის გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი    | 0     | 1     | 2     | 3     | 4     | 5     |
|-----------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| ოსუ             | 0.0%  | 3.8%  | 12.4% | 24.8% | 31.4% | 27.6% |
| ილია            | 0.0%  | 0.0%  | 5.6%  | 11.1% | 33.3% | 50.0% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0%  | 58.8% | 23.5% | 5.9%  | 11.8% | 0.0%  |
| ტექნიკური       | 48.9% | 11.1% | 8.9%  | 11.1% | 11.1% | 8.9%  |
| სამედიცინო      | 48.6% | 16.2% | 13.5% | 10.8% | 8.1%  | 2.7%  |

კვლავაც, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების ნახევარი ამ ასპექტსაც 5 უმაღლესი ქულიდან 5-ით აფასებს, მაშინ, როდესაც ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების თითქმის ნახევარი ამ ასპექტს არარელევანტურად მიიჩნევს ან პასუხისგან თავს იკავებს. ასევე ნიშანდობლივია, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების თითქმის 60% აღნიშნავს ამ ასპექტის პრაქტიკულად გამოყენებლობას, ხოლო 23.5% კი 2 ქულით აფასებს აუდიო-ვიდეო აპარატურის გამოყენების ეფექტურობას.

**ცხრილი 41: სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი | 0    | 1    | 2    | 3     | 4     | 5     |
|--------------|------|------|------|-------|-------|-------|
| ოსუ          | 2.9% | 1.9% | 4.8% | 31.4% | 41.0% | 18.1% |
| ილია         | 1.4% | 0.0% | 2.8% | 29.2% | 40.3% | 26.4% |


|                 |      |      |       |       |       |       |
|-----------------|------|------|-------|-------|-------|-------|
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0% | 0.0% | 11.8% | 17.6% | 41.2% | 29.4% |
| ტექნიკური       | 2.2% | 0.0% | 8.9%  | 35.6% | 24.4% | 28.9% |
| სამედიცინო      | 5.4% | 8.1% | 8.1%  | 27.0% | 24.3% | 27.0% |

**ცხრილი 42: სწავლების პროცესში საშინაო დავალების გამოყენების შესახებ ენის ფლობის გაუმჯობესებისათვის უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი    | 0    | 1    | 2    | 3     | 4     | 5     |
|-----------------|------|------|------|-------|-------|-------|
| თსუ             | 0.0% | 1.0% | 2.9% | 8.6%  | 33.3% | 54.3% |
| ილია            | 2.8% | 0.0% | 2.8% | 12.5% | 27.8% | 54.2% |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0% | 5.9% | 0.0% | 5.9%  | 41.2% | 47.1% |
| ტექნიკური       | 0.0% | 2.2% | 4.4% | 26.7% | 37.8% | 28.9% |
| სამედიცინო      | 0.0% | 0.0% | 0.0% | 10.8% | 40.5% | 48.6% |


თუ ერთმანეთს შევადარებთ სტუდენტების პასუხებს ორ დებულებაზე, კერძოდ კი, მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე სწავლების პროცესში, საინტერესო ტენდენციას დავინახავთ, რომელიც თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნათლადაა წარმოჩენილი:

დიაგრამა 10: სტუდენტების მიერ ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული დებულებები მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით სწავლების პროცესში უნივერსიტეტების მიხედვით



ყველა უნივერსიტეტში, მეტ-ნაკლებად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში ბევრად უფრო ნაკლები პროცენტით ფასდება უმაღლესი, 5 ქულით, ვიდრე ზოგადად მრავალფეროვანი სწავლების დებულება. მეტიც, სამცხე-ჯავახეთში, თითქმის 60% სტუდენტებისა ზოგად დებულებას მრავალფეროვანი სწავლების შესახებ უმაღლესი, 5 ქულით აფასებს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას იგივე სტუდენტები 5 ქულით საერთოდ არ აფასებენ.

დიაგრამა 11: სტუდენტების მიერ დაბალი ქულით შეფასებული დებულებები მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით სწავლების პროცესში უნივერსიტეტების მიხედვით



ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია სტუდენტების მიერ ენის სწავლების სტრატეგიებისა და მიდგომების თითოეული დებულების უმაღლესი ქულით შეფასებების საშუალო არითმეტიკული და მრავალფეროვანი სწავლების მიდგომების გამოყენების უმაღლესი შეფასება. როგორც დიაგრამაზე კარგად ჩანს, ყველა უნივერსიტეტში, გარდა ილიასი, ზოგადი მრავალფეროვანი სწავლების მიდგომების შეფასება უფრო მეტი სტუდენტის მიერაა ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული, ვიდრე თითოეული მიდგომისა და სტრატეგიის აღწერის შეფასებების საშუალო. მეტიც, სამცხე-ჯავახეთსა და სამედიცინო უნივერსიტეტში განსხვავება მნიშვნელოვანია.

თუ ამ შედეგებს გავანალიზებთ და თითოეულ დებულებაზე პასუხების გადანაწილებასაც დავაკვირდებით, სადაც სტუდენტები არაერთგვაროვნად აფასებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტებს კარგად არ აქვთ



გაცნობიერებული, რა სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენებას შეიძლება გულისხმობდეს მრავალფეროვანი, ეფექტური სწავლება.

## არასასწავლო, კლასგარეშე და საინტეგრაციო აქტივობები


2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართული ენის პროგრამაზე ენის აკადემიური სწავლების მიღმა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა კლასგარეშე, სტუდენტთა სოციალურ, აკადემიურ და კულტურულ ინტეგრაციაზე მიმართული აქტივობები (ტაბატაძე, გორგაძე, 2014). შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის რეკომენდაცია გაეწია ამ ტიპის აქტივობების განხორციელებას. რამდენად მოხდა ამ მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესება, შევეცადეთ გაგვეჩვენოთ როგორც სტუდენტთა გამოკითხვით, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებითა და ამ ორი დოკუმენტის ურთიერთშედარებით.

სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სტუდენტები სხვა კომპონენტებთან შედარებით (სასწავლო რესურსები და მასწავლებელთა კვალიფიკაცია) დაბალი ხარისხით აფასებენ საინტეგრაციო აქტივობებს და საკუთარ ჩართულობას ამ აქტივობებში. კითხვარში პასუხების გრადაცია 0 -დან- 5 მდე იყო დაყოფილი. 0-დან 2-მდე შეფასება გულისხმობდა დაბალ მაჩვენებელს თითოეულ კომპონენტზე, ხოლო 3-დან 5-მდე - საშუალო

და საშუალოზე მაღალ მაჩვენებელს. აღნიშნული დიფერენციაციის მიხედვით გამოკითხულ სტუდენტთა 36,6 %-ი დაბალ შეფასებას აძლევს ზოგადად პროგრამებში კლასგარეშე აქტივობებს, ხოლო 63,4% საშუალო და საშუალოზე მაღალს.

კითხვარში ცალკე იყო გამოტანილი კლასგარეშე აქტივობების შეფასება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია სტუდენტების მაღალი, 4 ქულით შეფასებული პასუხების გადანაწილება სამ დეპარტამენტზე, რომლებიც გარკვეულწილად ერთმანეთთან კავშირშია. კერძოდ, იმ აქტივობათა შეფასება, რომლებიც ქართველ თანატოლებთან ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული. მეორე მხრივ, ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობა და ბოლოს, პროგრამის დასრულების შემდეგ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის ხარისხი დაწყებასთან შედარებით.

**დიაგრამა 12: სტუდენტების მიერ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობისათვის აქტივობების, შესაძლებლობებისა და პროგრამის დასრულებისათვის შედეგების შედარება**



თუ პასუხებს ერთმანეთთან შევადარებთ, დავინახავთ, რომ სტუდენტები აქტივობებსა და ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობას უფრო მცირე პროცენტით აფასებენ, ვიდრე პროგრამის დასრულებისათვის მიღებულ შედეგს. გამონაკლისია მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც მეტი აქტივობებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, პროგრამის დასრულებისათვის ქართველებთან ურთიერთობის ინტენსივობა ნაკლები უმადლესი ქულითაა შეფასებული.

**ცხრილი 43 სტუდენტთა პასუხების განაწილება კლასგარეშე აქტივობების შესახებ**

|  | 0    | 1    | 2    | 3    | 4    | 5    | უპასუხო |
|--|------|------|------|------|------|------|---------|
| პროგრამაში კლასგარეშე აქტივობების სიხშირე  | 12,3 | 10,5 | 13,8 | 26,1 | 23,2 | 13,8 | ,4      |
| პროგრამის ფარგლებში ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა  | 10,9 | 9,4  | 13,8 | 21,0 | 21,7 | 22,5 | ,7      |
| უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა  | 3,3  | 6,9  | 10,9 | 21,7 | 27,9 | 28,6 | ,7      |
| სომხური და აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფების წარმომადგენლების ურთიერთობა ერთმანეთთან ერთი და იგივე შენობაში სწავლის პირობებში | 15,2 | 5,4  | 6,2  | 16,7 | 25,7 | 30,8 | ,0      |
| სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და/ან მასში  | 6,2  | 6,9  | 12,0 | 28,6 | 23,2 | 23,2 | ,0      |

|   |      |     |      |      |      |      |  |    |
|---|------|-----|------|------|------|------|--|----|
| მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა   |      |     |      |      |      |      |  |    |
| სხვადასხვა ინიციატივების, ღონისძიებების დაგეგმვისას ფინანსური მხარდაჭერა  | 13,4 | 9,4 | 14,9 | 25,0 | 26,1 | 10,5 |  | ,7 |
| აქტივობების რაოდენობა და ხარისხი, რომლებიც ქართველ სტუდენტებთან და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალებას მომცემდა | 9,8  | 6,2 | 12,0 | 24,6 | 28,3 | 19,2 |  | ,0 |
| პროგრამის დამთავრების დროისათვის ურთიერთობა ქართველ სტუდენტებთან, სწავლის დაწყებასთან შედარებით                 | 6,5  | 6,2 | 12,3 | 18,8 | 32,2 | 23,9 |  | ,0 |

როგორც უკვე აღინიშნა, სტუდენტთა გამოკითხვის გარდა, კვლევის ფარგლებში, შვეიცარულ ეთნოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ შემდეგი 3 მიმართულებით: (ა) სასწავლო რესურსების შექმნა (მათ შორის ტექნოლოგიური პროდუქტების და ტექნოლოგიების ჩართვა სწავლების პროცესში; (ბ) მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება; (გ) კლასგარეშე საინტეგრაციო აქტივობები. ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც შეჯამებულია უნივერსიტეტების მიხედვით წარმოდგენილი ანგარიშები:

**ცხრილი 44-47 უნივერსიტეტების ანგარიშების შეჯამება სასწავლო რესურსების შექმნის, პედაგოგთა მომზადებისა და ზოგადი კლასგარეშე მიმართულებებით გაწეული საქმიანობის შესახებ**

| უნივერსიტეტი                       | სასწავლო რესურსების შექმნა  |
|------------------------------------|---|
| <p><b>ბათუმის უნივერსიტეტი</b></p> | <p>სახელმძღვანელოს შექმნა: 2014 წელს მ. კიკვიძისა და დ. ახვლედიანის ავტორობით გამოიცა წიგნი „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-1“. წიგნი განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღირებულ იქნა სახელმძღვანელოდ.</p>   |
| <p><b>ილიაუნი</b></p>              | <p>1) ილიუნი ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მასწავლებლები ახორციელებენ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად პროექტს <i>„ძველი და თანამედროვე ქართული ენის სასწავლო ონლაინ პორტალი“</i>. პროექტის ფარგლებში შექმნილი თანამედროვე ქართული ენის სასწავლო მასალები გამოიყენება სწავლების პროცესში.</p> <p>2) <i>მუშაობა მუდლის პლატფორმაზე</i> (დავალებები ონლაინ რეჟიმში) მასწავლებლები ცალკეულ კურსებზე ქმნიან ახალ სასწავლო მასალებს, რომელიც გულისხმობს ენის ფლობის ოთხივე კომპეტენციის განვითარებას.</p> <p>3) <i>ელექტრონული სისტემა „არგუსის“ გაუმჯობესება</i>: სტუდენტთა ელექტრონული განაცხადების სისტემისა და მათი გამოკითხვის რეჟიმის გამარტივება/გამჭირვალობა. ადმინისტრაციისათვის სტუდენტებისა და ლექტორებისაგან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება.</p>   |
| <p><b>თსუ</b></p>                  | <p><b>სახელმძღვანელოს შექმნა:</b></p> <p>1) 2014 წელს ნ. შარაშენიძის ავტორობით გამოიცა წიგნი „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-1“. წიგნი განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღირებულ იქნა სახელმძღვანელოდ.</p> <p>2) 2014 წელს ანა თოდუას ავტორობით გამოიცა რიდერი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები(წერა-კითხვა)“. რიდერი განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღირებულ იქნა სახელმძღვანელოდ.</p> <p>3) 2014 წელს ანა თოდუას ავტორობით გამოიცა რიდერი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა-ლაპარაკი)“. რიდერი განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღირებულ იქნა სახელმძღვანელოდ.</p> <p>4) 2015 წელს ჭ. ქირიას ავტორობით გამოიცა წიგნი „მართლწერის საკითხები და ორთოგრაფიულ სირთულეთა ლექსიკონი“. წიგნი განკუთვნილია არაქართულენოვანი</p> |

|                                    |  |
|------------------------------------|--|
|                                    | <p>სტუდენტებისათვის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღირებულ იქნა სახელმძღვანელოდ.</p> <p>5) 2015 წელს ქ. გოჩიტაშვილისა და გიული შაბაშვილის ავტორობით გამოიცა წიგნი “ფუნქციური წერა“. წიგნი განკუთვნილია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღირებულ იქნა სახელმძღვანელოდ.</p> <p>6) ქ. ქირიას ხელმძღვანელობით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის შემუშავდა ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების 7 სახელმძღვანელო (სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით), ასევე, 7 დარგობრივი თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი.</p> <p>7) 2016 წელს ქ. ქირიას ავტორობით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის შემუშავდა და გამოიცა ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის კურსი.</p> <p><b>ელექტრონული კურსების შემუშავება:</b><br/> 2015-2016 წლებში თსუ-სთან პარტნიორობით, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან თანამშრომლობით, შეიქმნა ვებგვერდი (pita.tsu.ge), რომელზეც განთავსდა ყველა ის სილაბუსი, სალექციო რიდეერები და სასემინარო მასალა, რომელიც ისწავლება 1+4 პროგრამის სტუდენტებთან.</p> <p><b>სილაბუსების გადამუშავება-დახვეწა.</b><br/> 2016-2017 სასწავლო წლისათვის გადამუშავდა მთლიანად პროგრამა და დაიხვეწა სილაბუსები; პროგრამის მეორე სემესტრში დაემატა არჩევით სავალდებულო დარგობრივი კურსები 11 სხვადასხვა მიმართულებით.</p> |
| ქუთაისი                            | -  |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | <p>2012 წლის სექტემბრიდან დღევანდლამდე საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული სასწავლო ლიტერატურის გამრავალფეროვნების და უფრო მეტად შევსების მიზნით შექმნილია 650 დასახელების ლიტერატურა, 1950 ეგზემპლარის ოდენობით. შექმნილი ლიტერატურის ნაწილი სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) შეტანილია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სახით.</p> <p>- დასრულდა მოლაპარაკება აზერბაიჯანის სლავისტიკის უნივერსიტეტის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებთან სასწავლო მეთოდური მუშაობის მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ.</p>  |
| თსუ (სამედიცინო)                   | <p>ზოგიერთი სასწავლო კურსის გამდიდრება მეთოდოლოგიურად საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც დასტურდება პროგრამის შინაარსით და თანმხლები სილაბუსებით.</p>  |

| უნივერსიტეტი                       | პედაგოგთა მომზადება  |
|------------------------------------|--|
| <p><b>ბათუმის უნივერსიტეტი</b></p> | <p>მონაწილეობა საერთაშ. კონფერენციებში -</p> <p>1) თბილისის ანდრია პირველწოდებულის, ქართული უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული მე-2 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები“ (თბილისი 2014 წლის 1-12 აპრილი).<br/>მ. კიკვიძე მოხსენება თემაზე: „სირთულეები ერგატიული კოსტრუქციების სწავლებისას ქართულის არმცოდნეთათვის“.</p> <p>2) თბილისის ანდრია პირველწოდებულის, ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული მე-3 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ქართული სალიტერატურო ენის სწავლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის (2014 წლის 10-12 აპრილი).</p> <p>3) ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში. მოხსენება: სუბსტანციური მსაზღვრელის სწავლებისათვის თურქულენოვან ჯგუფებში“ ( ბათუმი 2014, მაია კიკვიძე).</p> <p>4) პროგრამაში ჩართული მასწავლებლების 2015 წლის 28-30 მაისის მონაწილეობა თურქეთში, ჰაჯი ბექთაშ ველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ენათა სწავლებას ეხებოდა.</p> <p>5) 2015 წლის 1-3 ივლისს მოხსენება ბრიუსელში მეთოდოლოგიურ საერთაშორისო კონფერენციაზე თემით:სირთულეები ქართული ენის სწავლებისას უცხოელებთან.</p> |
| <p><b>ილიაუნ</b></p>               | <p>-</p>   |
| <p><b>თსუ</b></p>                  | <p>1) 2015 წლის ივლისში გაიმართა კონფერენცია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ამოქმედების 5 წლისთავთან დაკავშირებით; კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ლექტორ-მასწავლებელმა; კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები გამოიცა ბეჭდური სახით.</p> <p>2) 2015 წლის ოქტომბერში, პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით - „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდები“;</p> <p>3) 2016 წლის იანვარსა და სექტემბერში - პროგრამა „ტემპუსის“ ფარგლებში, პედაგოგთა გადამზადების სატრენინგო ციკლი თემაზე: „ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება“.</p> <p>4) 2016 წლის თებერვალში - ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, ჩატრდა ტრენინგი მასწავლებელთა გადამზადების მიმართულებით მეორე ენის სწავლებისა და ბილინგვური განათლების მიმართულებით.</p>  |

|                                    |   |
|------------------------------------|---|
| ქუთაისი                            | -   |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | გაფორმდა მემორანდუმი ბაქოს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგთა გადამზადების სახელმწიფო ინსტიტუტთან. ხელშეკრულების საფუძველზე, 28 მარტს შედგა აზერბაიჯანის სლავისტიკის უნივერსიტეტის, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორ ჩინგიზ ბედალოვის შეხვედრა იმ ქართველ პროფესორებთან, რომლებიც მეცადინეობებს ატარებენ აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებთან. სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები და სემინარები ქართველ კოლეგებთან და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებთან (28.03. 2014 – 03.04.2014). |
| თსუ (სამედიცინო)                   | -   |

| უნივერსიტეტი | კლასგარეშე აქტივობები   |
|--------------|---|
| ბათუმის უნი  | -   |
| ილია უნი     | <p>1) <b>სტუდენტური პროექტი/ სტუდენტური კლუბები</b>- 2014-2015 წლებში სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტების 98% დაფინანსდა და დღემდე ინიცირებული პროექტების უმრავლესობა წარმატებულად მიმდინარეობს. სტუდენტური კლუბების საქმიანობა მოიცავს როგორც პროფესიული განვითარებისა და აკადემიური ცნობიერების ამაღლების, ასევე კულტურული და სპორტული აქტივობების სფეროს.</p> <p>2) <b>სტუდენტური გადამზადების პროექტები</b> - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტმა ფაკულტეტებთან და განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით სტუდენტებს შესთავაზა გადამზადების კურსები შემდეგი მიმართულებით: პროექტის წერა, პრეზენტაციის მომზადება, სამოტივაციო წერილის დაწერა, CV-ის დაწერა, საჯარო გამოსვლის ხელოვნება და ა.შ.</p> <p>3) <b>საზაფხულო და ზამთრის სკოლები</b> - 2015 წლის 8-14 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს ბაზაზე ჩატარდა ზამთრის სკოლა „ადამიანის უფლებები“. პროექტში 75-მა პირველკურსელმა მიიღო მონაწილეობა. საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ლექციებს კითხულობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები, ასევე უცხოეთიდან მოწვეული საერთაშორისო მკვლევრები და პროფესორები.</p> <p>4) <b>დასაქმება და სტაჟირება</b> - ამოქმედდა პროექტი UNI-JOBS, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ყოველდღიურად ელექტრონულად მიეწოდებათ შრომით ბაზარზე სტუდენტური დასაქმების შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტის სხვადასხვა</p> |



|                   |  |
|-------------------|--|
|                   | <p>სამსახურებში ხორციელდება სტაჟირების პროგრამა: “დასაქმდი და ისწავლე ილიაუნში”.</p> <p><b>5) საპრემიო კითხვა</b> - 2015 წლის გაზაფხულის სემესტრიდან საპრემიო კითხვა გულისმხობს ესეების კონკურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის.</p> <p><b>6) ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები</b> აქტიურად არიან ჩართულები „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერების ცენტრის“ მიერ დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებში: ესწრებიან სხვადასხვა საჯარო ლექციას, მონაწილეობენ კონკურსებში. პროგრამა ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მათ ინტეგრაციას ყოველდღიურ ცხოვრებაში.</p>   |
| <p><b>თსუ</b></p> | <p>1) 2014 წ. ფონდ ღია საზოგადოების მიერ დაფინანსებული პროექტი <b>„ერთად მომავალი წარმატებისათვის“</b>, რომელიც განკუთვნილი იყო არაქართულენოვან და ქართულენოვან სტუდენტათვის. პროექტი მოიცავდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულენოვან სივრცეში და მათი კულტურისა და ტრადიციების გაცნობა-დაახლოების საკითხებს.</p> <p>2) 2015 წლის ოქტომბრიდან ფუნქციონირება დაიწყო <b>თსუ ახალგაზრდულმა ცენტრმა</b> (პროექტი PITA), რომლის ფარგლებშიც 30-ზე მეტი ექსტრაკურსული აქტივობა განხორციელდა სხვადასხვა აკადემიური თუ საინტეგრაციო მიზნით;</p> <p>3) 2016 წ.- ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტი <b>„დედამიწის კალენდარი“</b>, რომელიც განკუთვნილია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთათვის. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები, ემსახურება სტუდენტთა სამოქალაქო ინტეგრაციასა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი მიდგომების დანერგვას ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.</p> <p>4) ამუშავდა ე.წ. <b>ტუტორიუმის ქვეპროგრამა</b> (PITA- ს ფარგლებში), რომელიც ითვალისწინებს 1+4 სტუდენტთა დახმარებას აკადემიური კუთხით უფროსკურსელ ვოლუნტართა მხრიდან.</p> <p>5) დამუშავების პროცესშია <b>ელექტრონული ბაზა 1+4</b> სტუდენტებისათვის, რომელიც მათ სოციალურ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.</p> |

|                                    |   |
|------------------------------------|---|
| ქუთაისი                            | <p><b>1) სტუდენტთა გამოკითხვა:</b> ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკური განყოფილება ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას. კვლევის მიზანია სტუდენტთა უნივერსიტეტისა და სპეციალობის შესახებ შთაბეჭდილების შეფასება; ფაკულტეტებზე პირველკურსელ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე; სტუდენტთა შენიშვნების შესწავლა სასწავლო პროცესის, ლექტორ-მასწავლებლებისა და ზოგადად საუნივერსიტეტო გარემოს შესახებ.</p> <p><b>2) სტუდენტთა ჩართვა ღონისძიებებში:</b> კონკურსები, პოეზიის საღამოები, კონფერენციები, საქველმოქმედო საღამოები, ექსკურსიები.</p> |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | -   |
| თსსუ (სამედიცინო)                  | <p><b>1) სპეციალური კითხვარების პილოტირება</b> უნივერსიტეტის დეპარტამენტის იმ აკადემიური პერსონალისათვის, რომლებიც მუშაობენ უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ არაქართულენოვან კურსდამთავრებულებთან.</p>  |

წარმოდგენილი ანგარიშებიდან და სტუდენტთა გამოკითხვიდან რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა: (1) უნივერსიტეტები ცდილობენ და შემუშავებული აქვთ ახალი სასწავლო რესურსები; (2) უმაღლესი სასწავლებლები ცდილობენ ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლების პროცესში იმ ფარგლებში, რაც საერთო საუნივერსიტეტო პოლიტიკის ნაწილია, თუმცა, ამ ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების ხარისხი მასწავლებელთა მხრიდან ნაკლებია ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე; (3) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები, თუმცა ეს არ არის ერთწლიანი პროგრამის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული შემადგენელი ნაწილი და უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, როგორც სწავლების, ასევე კვლევისა და კომუნიკაციის, მრავალფეროვნების საკითხებზე -

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პროგრამისთვის; (4) კლასგარეშე აქტივობების წილი მკვეთრად გაზრდილია, თუმცა ამ აქტივობებთან დაკავშირებით შემდეგი ორი ტენდენციაა ცალსახა: (ა) აქტივობები ძირითადად ხორციელდება დონორი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის დახმარებითა და ინიციატივით და უნივერსიტეტებს არ აქვთ განსაზღვრული სტრატეგია მრავალფეროვნების ინტერაქციის ხელშესაწყობად საუნივერსიტეტო დონეზე; (ბ) აქტივობები ძირითადად მიმართულია ერთწლიანი პროგრამის უმცირესობათა სტუდენტებზე და ნაკლებად არის წარმოდგენილი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ზოგადად საუნივერსიტეტო გარემოს გაუმჯობესებას მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით და ორიენტირებული იქნებოდა უმრავლესობის სტუდენტებზეც.

## პროგრამის ადმინისტრირება და სტუდენტების მხარდაჭერის სისტემა

პროგრამის შეფასებისას ადმინისტრირებისა და სტუდენტების მხარდაჭერის კუთხით, შემდეგი ასპექტები გაანალიზდა:

- პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა;
- პროგრამის ფარგლებში საორიენტაციო შეხვედრები და კონსულტაციები პროგრამის დაწყების წინ ადაპტაციის გასაადვილებლად;

- პროგრამის ადმინისტრაცია და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა სწავლების დაწყების წინ ლოჯისტიკური (ტრანსპორტი, საცხოვრებელი და ა.შ.) საკითხების მოგვარებისათვის;
- პროგრამის ფარგლებში არსებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის აკადემიურ მხარდაჭერას და ინდივიდუალურ კონსულტირებას;
- პროგრამის ფარგლებში არსებული სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა კარიერის დაგეგმვასა და საბაკალავრო პროგრამების შერჩევაში მხარდაჭერას და კონსულტირებას;
- პროგრამის სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტთა ენობრივი და აკადემიური დახმარების შესაძლებლობებს;
- პროგრამის სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სტუდენტებსა და პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის აქტიურ კომუნიკაციას, ქსელის შექმნას და თანამშრომლობას.

როგორც სხვა დებულებებთან მიმართებით, ამ შემთხვევაშიც, სტუდენტების მიერ ადმინისტრირებისა და მხარდაჭერის სისტემა საკმაოდ მაღალი ქულით ფასდება. თუმცა, თუ ქვემოთ მოცემულ ცხრილს შევხედავთ, აშკარაა, რომ სხვადასხვა ასპექტში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს სხვადასხვა ინტენსივობით აქვთ მაღალი შეფასება გაკეთებული. მაგალითად, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ კურსდამთავრებულებთან


ურთიერთობისა და ქსელების შექმნის ხელშეწყობას 37%-ზე მეტი აძლევს ძალიან მაღალ შეფასებას. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში კი, საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემდგომი მხარდაჭერის სისტემაა 29%-ზე მეტი სტუდენტის მიერ მაღალი ქულებით შეფასებული. ქვემოთ მოცემული ცხრილი კარგად აჩვენებს ყველა ასპექტის მიმართ სტუდენტების დამოკიდებულებას უნივერსიტეტების დონეზე. ამ ფონზე, ასევე უნდა აღინიშნოს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ შედარებით მცირე რაოდენობის მაღალი შეფასება საორიენტაციო შეხვედრებისა და კონსულტაციების ასპექტში (9.7%). ასევე, შედარებით ნაკლები სტუდენტი აფასებს მაღალი ქულებით ამ ასპექტს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში.

**ცხრილი: 48: სტუდენტების მიერ პროგრამის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის უმაღლესი შეფასებები უნივერსიტეტების მიხედვით და ამ შეფასებების საშუალო მაჩვენებელი**

| უნივერსიტეტი    | საორიენტაციო შეხვედრები და კონსულტაციები ადაპტაციისთვის | ლოჯისტიკური დახმარება | აკადემიური მხარდაჭერა და ინდივიდუალური კონსულტაცია | კარიერის დაგეგმვასა და საბაკალავრო პროგრამის არჩევანში | საბაკალავრო საფეხურზე ენობრივი და აკადემიური მხარდაჭერა | კურსდამთავრებულებს შორის კომუნიკაცია და თანამშრომლობა | ყველა აქტივობების საშუალო | სტუდენტთა მხარდაჭერა (დაუკონკრეტებელი) |
|-----------------|---|-----------------------|--|--|---|---|---------------------------|--|
| ოსუ             | 21.9%   | 21.9%                 | 17.1%  | 22.9%  | 19.0%   | 21.9%   | 20.8%                     | 22.9%                                  |
| ილიას           | 9.7%  | 11.1%                 | 15.3%  | 19.4%  | 19.4%   | 20.8%   | 16.0%                     | 18.1%                                  |
| სამცხე-ჯავახეთი | 11.8%   | 5.9%                  | 23.5%  | 5.9%   | 29.4%   | 17.6%   | 15.7%                     | 29.4%                                  |
| ტექნიკური       | 15.6%   | 11.1%                 | 28.9%  | 15.6%  | 20.0%   | 37.8%   | 21.5%                     | 37.8%                                  |
| სამედიცინო      | 16.2%   | 10.8%                 | 13.5%  | 18.9%  | 29.7%   | 21.6%   | 18.5%                     | 21.6%                                  |

გარდა არაერთგვაროვანი შეფასებისა, კვლავაც საინტერესო ტენდენცია იკვეთება ზოგ უნივერსიტეტში ასპექტების შეფასების საშუალოსა და ადმინისტრაციისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის ზოგადი შეფასების შედარების შემთხვევაში; კერძოდ კი, ყველა უნივერსიტეტში ზოგადი შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე ცალკეული ასპექტების ჯამის საშუალო შეფასება. დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის შემთხვევაში, ზოგადი და კონკრეტული ასპექტების შეფასებებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ყველაზე ახლოს კი, ზოგადი და კონკრეტული ასპექტების შეფასებები თსუ-ს და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებების შემთხვევაშია.


**დიაგრამა 13: სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადად მხარდაჭერის სისტემის შეფასება უმაღლესი 5 ქულით და ყველა აქტივობისა და ღონისძიების უმაღლეს შეფასებათა საშუალო**



## პროგრამის ზოგადი შეფასება

სტუდენტთა მიერ პროგრამის ზოგადი შეფასებისთვის 4 ძირითად ასპექტთან დაკავშირებული კითხვები შემუშავდა. კერძოდ კი, ენობრივ, აკადემიურ, სოციალურ უნარების შეძენასთან დაკავშირებით და საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის მომზადების ასპექტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტების მიხედვით რომელიმე ასპექტის სხვებზე უფრო მაღალი შეფასების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია არ გამოვლენილა. ზოგადად, ენის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების შეფასება უფრო მაღალია ენობრივი და აკადემიური უნარების ასპექტებში.


დიაგრამა 14: პროგრამის ზოგადი შეფასების უმაღლესი ქულების საშუალო თითოეული უნივერსიტეტისათვის შეფასების კომპონენტის მიხედვით



რაც შეეხება შეძენილი უნარების დაბალ შეფასებებს, კვლავაც, განსაკუთრებულ ტენდენციებზე ვერ ვისაუბრებთ. ნიშანდობლივია,

რომ ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტებს საერთო ჯამში ოდნავ უფრო დაბალი შეფასება აქვთ ქართული ენის პროგრამის ფარგლებში უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, ვიდრე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს.

**დიაგრამა 15: პროგრამის ზოგადი შეფასების დაბალი (1-3) ქულების საშუალო თითოეულ უნივერსიტეტში**



## დასკვნა

ამრიგად, უნივერსიტეტების დონეზე სტუდენტების მიერ ქართული ენის პროგრამის შეფასებისას რამდენიმე ზოგადი ტენდენცია იკვეთება:

1. ქართული ენის პროგრამის ნებისმიერი ასპექტი სტუდენტების მიერ მაღალი ქულით ფასდება. ეს ტენდენცია იკვეთება მაშინაც კი, თუ კონკრეტული უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში შესაფასებელი



ასპექტი არ ხორციელდება ან სუსტად, განვითარების პირველ ეტაპზე იმყოფება.

2. ენის პროგრამის ნებისმიერი ასპექტის ზოგადი შეფასებისას, სტუდენტების საერთო შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე კონკრეტული ასპექტების შეფასებათა საშუალო მაჩვენებელი.

3. ყველაზე მაღალი შეფასება პედაგოგთა რელევანტურობისა და კვალიფიციურობის შეფასებისას ფიქსირდება.

4. ერთი და იმავე ასპექტის ან ასპექტთან დაკავშირებული დებულებების შეფასების შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს მცირედი განსხვავება შეფასებებში დებულების ფორმულირებიდან გამომდინარე.

# სარეკომენდაციო ნაწილი

---

## ზოგადი რეკომენდაციები

- აბიტურიენტთა მოსაზიდად აქტიური საზოგადოებასთან ურთიერთობების კამპანიის წარმოება, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში და კერძოდ, ახალქალაქის რაიონში;
- ქართული ენის ფლობის დონეების განსაზღვრა და ამ დონეების ინტეგრირება ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე სტუდენტების მიღებისა და სწავლების ეტაპებზე.
- მასწავლებელთა გადამზადების უზრუნველყოფა სწავლების თანამედროვე მეთოდების სათანადო გამოყენებისათვის, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება ტექნოლოგიების ეფექტური დანერგვით სწავლებაში, სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული და სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლებას.
- სავალდებულო საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კურსების სტუდენტთა საჭიროებებზე მორგება და გამრავალფეროვნება და ფაკულტეტების არჩევისას წინაპირობების მოხსნა.
- სასწავლო რესურსების მორგება მკაფიოდ განსაზღვრულ დონეებზე, მათი გამდიდრება როგორც თემატური და შინაარსობრივი ასპექტებით, ასევე სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდებით.

- კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენა სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის მოსამზადებლად და სოციალური ინტეგრაციისათვის.

## სწავლა-სწავლებისა და შეფასების ენობრივი ასპექტები წინასაპროგრამო და პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში

- ქართულ ენაში ენობრივი კომპეტენციების შეფასების სისტემის შექმნა ეროვნულ ან საუნივერსიტეტო დონეზე;
- ქართულ ენაში ენობრივი კომპეტენციის დადგენა მისაღები გამოცდების დროს, რომელსაც მნიშვნელობა არ მიენიჭება ჩარიცხვის და გრანტის განაწილებისთვის;
- მისაღებ გამოცდებზე მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ენობრივ კომპეტენციებზე დაფუძნებით სხვადასხვა დონის პროგრამების შექმნა და აკრედიტაცია;
- ენობრივ კომპეტენციებზე დაფუძნებით პროგრამებში ინტენსიური კურსებისა და სხვა ტიპის პროგრამების გაჩენა, აგრეთვე საბაკალავრო დონეზე სტუდენტთა მხარდაჭერა ენობრივი კომპეტენციის გაზრდის მიზნით.

## სასწავლო რესურსები

- ერთწლიანი პროგრამის სტუდენტთათვის საუნივერსიტეტო დონეზე და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა;

- სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვა და შემუშავებული სასწავლო რესურსების გამოყენება, რათა საბაკალავრო დონეზე სტუდენტთათვის უცხო არ იყოს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების გავლა და დაძლევა;
- ტექნოლოგიური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმისათვის, რათა ყველა სტუდენტმა შეძლოს მისი სრულფასოვანი გამოყენება საუნივერსიტეტო კამპუსში;
- მრავალფეროვანი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების შექმნა, რომლებიც ორიენტირებული იქნება სტუდენტების მომზადებაზე საბაკალავრო პროგრამის დასაწყებად;
- სასწავლო რესურსების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების ფლობის დონეებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც უზრუნველყოფს ენის ფლობის დონეებს შორის მოქნილ ტრანზიტს გამართული მეთოდიკისა და მიდგომების გამოყენების საშუალებით.
- 

## პედაგოგიური კადრების განვითარება

- პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში ტექნოლოგიების გამოყენების კომპონენტის გაძლიერება;
- განათლების პროგრამის სტუდენტების წახალისება პროგრამის ფარგლებში პედაგოგიური პრაქტიკის კურსის

განხორციელებისათვის, რაც პოზიტიურად აისახება ენობრივი განვითარებისა და ინტეგრაციის ხარისხზე.

## სტუდენტთა მხარდაჭერა და პროგრამის ადმინისტრირება

- სტუდენტთა რეგულარული ინფორმირება მხარდაჭერის არსებული ფორმების შესახებ. ასევე, მათი საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და ანალიზი;
- სტუდენტების გაცნობიერებული პროფესიული არჩევნის მიღების ხელშეწყობა ეფექტური საინფორმაციო მხარდაჭერის საშუალებით;
- სტუდენტებისათვის ინდივიდუალური და ჯგუფური აკადემიური კონსულტაციების დანერგვა პროგრამის ფარგლებში.

## კლასგარეშე აქტივობები

- პროგრამის ფარგლებში სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კლასგარეშე აქტივობებისა და ღონისძიებების პროგრამული და ფინანსური ასახვა, რაც ხელს შეუწყობს ენობრივი და სოციალური უნარების განვითარებას, სტუდენტების ინტეგრაციას და საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის მომზადებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

---

გორგაძე (2016) – Gorgadze (2016). Rethinking Integration Policy- Dual Ethnic and Cultural Identity. *International Journal of Multilingual Education*, Volume 8, Issue 2, pp. 6-31

გუფთა (2006) Gupta, A. (2006). Affirmative action in higher education in India and the US: A study in contrast. Center for Studies in Higher Education;

ლეჰმიულერი და გრეგორი (2003) Lehmuller, P. & Gregory, E. D. (2003). Affirmative action: From before Bakke to after Grutter. *NASPA journal*, 42 (4), pp. 430-459

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი CCIIR (2014) წლიური ანგარიში, თბილისი, საქართველო

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი CCIIR (2015) წლიური ანგარიში, თბილისი, საქართველო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ №127 ბრძანების (2005 წლის 28 მარტი);

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2004), მოპოვებულია ვებ-გვერდიდან [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) 2013 წლის 29 აგვისტოს;

სტატისტიკური მონაცემები - სტატისტიკური ანალიზი გაკეთებულია: (ა) გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის; (ბ) ილიას უნივერსიტეტის; (გ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის; (დ) სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის; (ე) სახელმწიფო

სამედიცინო უნივერსიტეტის; (ვ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის; (ვ) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის; (ზ) გაინათლების მართვის საინფორმაციო სისტემების მიერ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრისთვის მოწოდებული ოფიციალურ საჯარო ინფორმაციზე დაყრდნობით.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი (2014) - *მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*. თბილისი, საქართველო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი

ტაბატაძე. (2009) - შ. ტაბატაძე, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი “განათლების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები;

ტაბატაძე და გორგაძე (2014) - *კვთირების სისტემის ეფექტურობის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში*, თბილისი, საქართველო: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

შმიდტი (2001) - Schmidt (2001), Debating the Benefits of Affirmative Action: The Chronicle of Higher Education

# ცხრილები და გრაფიკები

---

## ცხრილები

ცხრილი 1: მოსახლეობის ეთნიკური განაწილება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის შედეგების მიხედვით

ცხრილი 2: კვორტირების პოლიტიკის ფარგლებში გამოყოფილი ადგილებისა და აქტუალური ჩაბარების მონაცემები

ცხრილი 3: 2010-2015 წლების ზოგადი სტატისტიკა რეგისტრირებული და გამოცდაჩაბარებული სტუდენტების შესახებ

ცხრილი 4: სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა (2010-2015 წწ)

ცხრილი 5: მოსწავლეთა რაოდენობა არაქართულენოვან სკოლებში

ცხრილი 6: 2014 წელს გამოცდაზე ჩაჭრილთა რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით (გამოცდებისა და შეფასების ცენტრი, 2014)

ცხრილი 7: 2016 წლის საატესტატო გამოცდები რეგიონების მიხედვით

ცხრილი 8: 2016 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები ქვემო ქართლში რუსთავის გარეშე, რუსთავსა და მარნეულში

ცხრილი 9: ჩარიცხულ აბიტურიენტთა გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით 2014-2015

ცხრილი 10: სტუდენტების ჩაბარებისა და სწავლის გაგრძელების მონაცემები თბილისის ჯავახიშვილი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან

ცხრილი 11: საბაკალავრო საფეხურის დასრულების მაჩვენებელი კვოტის სისტემის ფარგლებში 2010 წელს ჩარიცხულ სტუდენტებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში



ცხრილი 12: ეთნიკური უმცირესობების სწავლის დინამიკა ფაკულტეტების მიხედვით 2011 წელს

ცხრილი 13: კვლევის მონაწილე სტუდენტების რაოდენობა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით

ცხრილი 14: სკალაზე ყველაზე მაღალი ნიშნულების მიხედვით სტუდენტების პასუხების გადანაწილება უნივერსიტეტის არჩევანის შესახებ

ცხრილი 15: სტუდენტების მიერ ენის ფლობის კომპონენტების უმაღლესი შეფასება და ამავე კომპონენტების საშუალო უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 16: თსუ-ს სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასება პროგრამის დაწყებამდე სკალაზე

ცხრილი 17: სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების შეფასება პროგრამის დაწყებამდე

ცხრილი 18-21: სტუდენტების მიერ ენის ფლობის შეფასება ცალკეული კომპონენტების მიხედვით სკალაზე თითოეულ უნივერსიტეტში

ცხრილი 22: თსუ-ს სტუდენტთა შედეგები პრე და პოსტტესტების მიხედვით

ცხრილი 23: პრაქტიკული გრამატიკის პრე- და პოსტტესტის შედეგები თსუ-ში პროცენტულად

ცხრილი 24: 2010 წელს კვოტირებით ჩარიცხულ სტუდენტთა ბაკალავრიატის დასრულების მაჩვენებელი 2015 წლისთვის

ცხრილი 25: სტუდენტების მიერ სახელმძღვანელოების მრავალფეროვნებისა და მრავალმხრივობის შეფასება

ცხრილი 26: სტუდენტების მიერ სახელმძღვანელოების საკმარისობის შეფასება

ცხრილი 27: სტუდენტების მიერ სახელმძღვანელოების თანმიმდევრულობისა და თავსებადობის შეფასება

ცხრილი 28: სტუდენტების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის შეფასება

ცხრილი 29: სტუდენტების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 30: სტუდენტების მიერ პრინტერისა და ასლების გადასაღები მანქანის ხელმისაწვდომობის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 31: სტუდენტების მიერ საკანცელარიო ნივთების ხელმისაწვდომობის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 32-33: სტუდენტების მიერ პროგრამის მასწავლებლების შეფასება სამი უმაღლესი ქულით (3-5 ქულა)

ცხრილი 34: სტუდენტების მიერ პროგრამის კურსების შეფასება საინტერესობისა და მრავალფეროვნების კუთხით

ცხრილი 35: სტუდენტების ენის ფლობისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შეფასება პროგრამის ფარგლებში

ცხრილი 36: სტუდენტების მიერ სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების შეფასება სკალაზე

ცხრილი 37: სკალაზე გადანაწილება სტუდენტების მიერ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების შეფასებისას

ცხრილი 38: სტუდენტების მიერ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 39: სტუდენტების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 40 : სტუდენტების მიერ აუდიო-ვიდეო აპარატურის გამოყენების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 41: სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 42: სწავლების პროცესში საშინაო დავალების გამოყენების შესახებ ენის ფლობის გაუმჯობესებისათვის უნივერსიტეტების მიხედვით

ცხრილი 43 სტუდენტთა პასუხების განაწილება კლასგარეშე აქტივობების შესახებ

ცხრილი 44-47 უნივერსიტეტების ანგარიშების შეჯამება სასწავლო რესურსების შექმნის, პედაგოგთა მომზადებისა და ზოგადი კლასგარეშე მიმართულებებით გაწეული საქმიანობის შესახებ

ცხრილი: 48: სტუდენტების მიერ პროგრამის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის უმაღლესი შეფასებები უნივერსიტეტების მიხედვით და ამ შეფასებების საშუალო მაჩვენებელი

## დიაგრამები

დიაგრამა 1: აბიტურიენტების გადანაწილება 2014 და 2015 წლებში რაიონების მიხედვით

დიაგრამა 2: სტუდენტების პასუხების გადანაწილება 3-დან 5 ქულამდე ქართული ენის პროგრამის არჩევისას უნივერსიტეტში არსებული საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობის შესახებ

დიაგრამა 3: სკალაზე ყველაზე მაღალი ნიშნულების გადანაწილება უნივერსიტეტის არჩევანის შესახებ

დიაგრამა 4: გამოკითხულ სტუდენტთა მიერ ენობრივი კომპონენტების ცოდნის შეფასება უმაღლესი ქულით უნივერსიტეტების მიხედვით.

დიაგრამა 5: სტუდენტების მიერ საკუთარი ენობრივი კომპეტენციების ორი უმაღლესი ქულით შეფასების საშუალო და ყველა კომპეტენციის საშუალო რეგიონული გადანაწილების მიხედვით

დიაგრამა 6: სტუდენტების პოზიტიური შეფასების (3-5 ქულა) საშუალო უნივერსიტეტების მიხედვით პროგრამის დაწყებამდე სამეტყველო ენის და პროგრამის დასრულების შემდეგ სხვადასხვა სოციალურ სიტუაციასა და ზეპირი პრეზენტაციის უნარებისათვის

დიაგრამა 7: თსუ-ს სტუდენტების მიერ წერითი უნარების განვითარების შეფასება პროგრამის დაწყებისა და პროგრამის დასასრულისათვის

დიაგრამა 8: პროგრამის დაწყებისა და დასასრულისათვის მოხმენილის გაგება-გააზრების უნარების უმაღლესი, 4-5 ქულით შეფასების საშუალო თითოეული უნივერსიტეტისათვის

დიაგრამა 9: სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დიფერენცირებული მიდგომებისა და სტუდენტების საჭიროებებზე დაფუძნებული სწავლების შეფასებების შედარება

დიაგრამა 10: სტუდენტების მიერ ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული დებულებები მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით სწავლების პროცესში უნივერსიტეტების მიხედვით

დიაგრამა 11: სტუდენტების მიერ დაბალი ქულით შეფასებული დებულებები მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით სწავლების პროცესში უნივერსიტეტების მიხედვით

დიაგრამა 12: სტუდენტების მიერ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობისათვის აქტივობების, შესაძლებლობებისა და პროგრამის დასრულებისათვის შედეგების შედარება

დიაგრამა 13: სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადად მხარდაჭერის სისტემის შეფასება უმაღლესი 5 ქულით და ყველა აქტივობისა და ღონისძიების უმაღლეს შეფასებათა საშუალო

დიაგრამა 14: პროგრამის ზოგადი შეფასების უმაღლესი ქულების საშუალო თითოეული უნივერსიტეტისათვის შეფასების კომპონენტის მიხედვით

დიაგრამა 15: პროგრამის ზოგადი შეფასების დაბალი (1-3) ქულების საშუალო თითოეულ უნივერსიტეტში

# დანართები

---

## დანართი 1:

**უმაღლეს სასწავლებლებში საშეღავათო პირობებით (კვოტებით)  
ჩარიცხვის პოლიტიკის ეფექტურობის კვლევის კითხვარი ქართულ  
ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტებისთვის**

### ინსტრუქცია

გამარჯობა, მე გახლავართ \_\_\_\_\_ (უთხარით სახელი), ჩვენ ვატარებთ კვლევას, რომელიც გულისხმობს უმაღლეს სასწავლებლებში ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის ეფექტურობის კვლევას საქართველოში.. თქვენი გულწრფელი პასუხები საშუალებას მოგვცემს, რომ ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ საკვლევი საკითხის შესახებ. და შევიმუშავოთ რეკომენდაციები ხსენებული პოლიტიკისა და ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თუ დათანხმდებით მონაწილეობაზე, შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემისგან. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევის საბოლოო ანგარიშში განზოგადებული იქნება და არ მოხდება ცალკეული სტუდენტის იდენტიფიცირება. ამასთან, ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მკაცრად დავიცავთ რესპონდენტთა კონფიდენციალურობის მოთხოვნებს. კერძოდ, ყველა პასუხი და მოწოდებული ინფორმაცია დაცული იქნება მკაცრად კონფიდენციალურად. „მკაცრად კონფიდენციალური“ ნიშნავს, რომ მხოლოდ მკვლევარს, კვლევის ადმინისტრატორს და რამდენიმე თანამშრომელს ექნება რესპონდენტთა პირად ინფორმაციაზე და მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე ხელმისაწვდომობა. კითხვებზე პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ კონკრეტული საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით. გამოკვლევის შედეგების მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში რესპონდენტების პერსონალური ინფორმაცია, დაწესებულების სახელწოდება და ის მონაცემები, რომელთა გამჟღავნებაც საშუალებას იძლევა, მოხდეს რესპონდენტების იდენტიფიცირება, იქნება დახურული.

გთხოვთ უპასუხოთ გულწრფელად, რაც მნიშვნელოვანია კვლევის შედეგებისთვის და პროგრამების გასაუმჯობესებლად.

## სტუდენტების კითხვარი

### G1. ზოგადი პერსონალური ინფორმაცია

|                                   |   |            |       |       |           |  |             |
|-----------------------------------|---|------------|-------|-------|-----------|--|-------------|
| 1                                 | სახელი, გვარი                           |            |       |       |           |  |             |
| 2                                 | სქესი                                   | მდედრობითი |       |       | მამრობითი |  |             |
| 3                                 | ასაკი                                   | 17-18      | 19-20 | 21-24 | 24+       |  |             |
| <b>სად ცხოვრობთ</b>               |   |            |       |       |           |  |             |
| 4                                 | რეგიონი                                 |            |       |       |           |  | <i>კოდი</i> |
| 5                                 | რაიონი                                  |            |       |       |           |  | <i>კოდი</i> |
| 6                                 | ქალაქის/სოფლის ან დაბის სახელწოდება     |            |       |       |           |  | <i>კოდი</i> |
| 7                                 | საკონტაქტო ტელეფონი                     |            |       |       |           |  |             |
| 8                                 | საკონტაქტო ე-ფოსტა                      |            |       |       |           |  |             |
| <b>სასწავლებელი, უნივერსიტეტი</b> |   |            |       |       |           |  |             |
| 9                                 | უნივერსიტეტის, სასწავლებლის სახელწოდება |            |       |       |           |  | <i>კოდი</i> |

**A ქართული ენის ერთწლიანი საუნივერსიტეტო კურსის არჩევის წინაპირობები**

**A1. რატომ გადაწყვიტეთ თქვენს უნივერსიტეტში ჩაბარება? (დებულების მნიშვნელობის მიხედვით მიანიჭეთ მას 0-დან (სრულიად არ არის მართებული) 5-მდე (მალიან მნიშვნელოვანია ქულა და შემოხაზეთ შესაბამისი რიცხვი)**

|   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეს უნივერსიტეტი ძალიან პრესტიჟულია  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2 | ამ უნივერსიტეტში სწავლა ჩემთვის უფრო მოხერხებული იყო  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3 | ამ უნივერსიტეტში საბაკალავროზე სწავლა მომავალში უფრო ადვილი იქნება  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4 | ჩემი არჩევანი განაპირობა ამ უნივერსიტეტში არსებულმა საბაკალავრო პროგრამამ, რომელზეც სწავლას გავაგრძელებ ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5 | ამ უნივერსიტეტში ჩემმა ბევრმა მეგობარმა ჩააბარა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | გავიგე, რომ ამ უნივერსიტეტში ყველაზე კარგი მოსამზადებელი პროგრამა მუშაობდა  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7 | მქონდა ინფორმაცია, რომ ამ უნივერსიტეტის ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა ყველაზე მარტივად დასაძლევია სტუდენტებისთვის                       | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 8 | სხვა, დააკონკრეტეთ:<br>_____<br>-   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**B. ენობრივი კომპეტენციის შეფასება პროგრამის დაწყებამდე**

|  |   |   |   |   |   |   |   |
|--|---|---|---|---|---|---|---|
| <b>1. შეაფასეთ თქვენი ენობრივი კომპეტენცია ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე</b><br><i>შეაფასეთ 0-დან (სრულიად ვერ ვფლობდი) 5-მდე (ქართულს ვფლობ მშობლიური ენასავით)</i> |   |   |   |   |   |   |   |
| 1  | ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი კომპეტენცია ი წერის მიმართულებით, .             | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2.   | ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი კომპეტენცია ი წაკითხულის გააზრების მიმართულებით | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3  | ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი კომპეტენცია ი მოსმენის მიმართულებით             | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4.   | ქართული ენის პროგრამის დაწყებამდე ჩემი ენობრივი კომპეტენცია ი ლაპარაკის მიმართულებით            | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**C. ქართული ენის პროგრამის შეფასება**

|   |  |   |   |   |   |   |   |
|---|--|---|---|---|---|---|---|
| <b>C1. ინფორმაცია პროგრამის მასწავლებელთა შეფასება</b><br><i>შეაფასეთ 0-დან 5-მდე ინტენსივობის მიხედვით</i> |  |   |   |   |   |   |   |
| 1   | მასწავლებლების კვალიფიკაცია  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2   | მასწავლებელთა მოტივაცია  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3.  | მასწავლებელთა მოლოდინები სტუდენტებთან მიმართებით                     | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4   | მასწავლებელთა ტოლერანტობა მრავალფეროვნების მიმართ                    | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5   | მასწავლებელთა დამოკიდებულება და განწყობა ჩემი ეთნიკური ჯგუფის მიმართ | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6   | მასწავლებელთა პატივისცემა სტუდენტთა მიმართ                           | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |



| <b>C2. ქართული ენის სწავლების სტრატეგიებისა და მიდგომების შეფასება::<br/>პროგრამა....</b> |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| <i>შეფასეთ 0-დან 5-მდე ეფექტურობისა და შესაბამისობის მიხედვით</i>                         |   |   |   |   |   |   |   |
| 1   | ქართული ენის სასწავლო პროგრამის ფარგლებში მრავალფეროვანი და საინტერესო კურსები  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2.  | სტუდენტთა მიერ ენის ფლობის დონისა და სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3   | მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენება მასწავლებლების მიერ, რაც საინტერესოს და სახალისოს ხდიდა სწავლას                       | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4.  | სწავლების პროცესში ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენება მასწავლებლების მიერ                | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5   | კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა და გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და სტუდენტთა მოტივაციისა და ჩართულობის გასაზრდელად | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6   | თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7   | აუდიო-ვიდეო აპარატურის გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ...  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 8.  | განმავითარებელი შეფასებების გამოყენება მასწავლებლების მიერ ენის სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად                                     | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 9.  | საშინაო დავალებების გამოყენება სწავლების პროცესში, რომლებიც ძალიან სასარგებლო იყო ენის ფლობის გასაუმჯობესებლად                      | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| <b>C3. ქართული ენის სასწავლო რესურსების შეფასება</b>                                      |   |   |   |   |   |   |   |
| <i>შეფასეთ 0-დან 5-მდე ეფექტურობისა და შესაბამისობის მიხედვით</i>                         |   |   |   |   |   |   |   |
| 1   | პროგრამაში სასწავლო სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომობა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2.  | პროგრამაში გამოყენებული სახელმძღვანელოების მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

|  |   |   |   |   |   |   |   |
|--|---|---|---|---|---|---|---|
| 3  | პროგრამაში გამოყენებული სავალდებულო სახელმძღვანელოების საკმარისი რაოდენობა ერთწლიანი პროგრამის დასაძლევად   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4  | პროგრამაში გამოყენებული სახელმძღვანელოების თანმიმდევრულობა, ერთმანეთთან თავსებადობა და ენის დონის ეტაპობრივ გაუმჯობესების უზრუნველყოფა  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5  | პროგრამაში ლექტორებისთვის და სტუდენტებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას აძლევს ლექტორსა და სტუდენტს გამოიყენოს დამატებითი რესურსები | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6  | პროგრამაში პრინტერისა და ქსეროქსის ხელმისაწვდომობა, რაც შესაძლებლობას აძლევს ლექტორებსა და სტუდენტებს გამოიყენონ სახელმძღვანელოების მიღმა დამატებითი რესურსები                    | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7  | პროგრამაში საკანცელარიო საქონლის ხელმისაწვდომობა, თვალსაჩინოებები და ენის სწავლების პროცესისთვის საჭირო სხვა რესურსები  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| <b>C4. პროგრამის არასაკლასო აქტივობები</b>                           |   |   |   |   |   |   |   |
| <i>შეაფასეთ 0-დან 5-მდე რელევანტურობის და შესაბამისობის მიხედვით</i> |   |   |   |   |   |   |   |
| 1  | პროგრამაში კლასგარეშე აქტივობების სიხშირე   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2  | პროგრამის ფარგლებში ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3  | უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4  | სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების წარმომადგენლების ურთიერთობა ერთმანეთთან ერთი და იგივე შენობაში სწავლის პირობებში  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5  | სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და/ან მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6  | სხვადასხვა ინიციატივების, ღონისძიებების დაგეგმვისას ფინანსური მხარდაჭერა  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7  | აქტივობების რაოდენობა და ხარისხი, რომლებიც ქართველ სტუდენტებთან და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალებას მომცემდა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

|  |   |   |   |   |   |   |   |
|--|---|---|---|---|---|---|---|
| 8  | პროგრამის დამთავრების დროისათვის ურთიერთობა ქართველ სტუდენტებთან, სწავლის დაწყებასთან შედარებით   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| <b>C5. პროგრამის ადმინისტრირება და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა</b>         |   |   |   |   |   |   |   |
| <i>შეაფასეთ 0-დან 5-მდე ეფექტურობისა და შესაბამისობის მიხედვით</i>           |   |   |   |   |   |   |   |
| 1  | პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2  | პროგრამის ფარგლებში საორიენტაციო შეხვედრები და კონსულტაციები პროგრამის დაწყების წინ ადაპტაციის გასაადვილებლად   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3  | პროგრამის ადმინისტრაცია და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა სწავლების დაწყების წინ ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებისათვის.   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4  | პროგრამის ფარგლებში არსებული სისტემა, რომელიც სტუდენტის აკადემიურ მხარდაჭერას და ინდივიდუალურ კონსულტირებას   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5  | პროგრამის ფარგლებში არსებული სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა კარიერის დაგეგმვასა და საბაკალავრო პროგრამების შერჩევაში მხარდაჭერას და კონსულტირებას | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6  | პროგრამის სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტთა ენობრივი და აკადემიური დახმარების შესაძლებლობებს.                                  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7  | პროგრამის სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სტუდენტებსა და პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის აქტიურ კომუნიკაციას, ქსელის შექმნას და თანამშრომლობას  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| <b>C6 . ჩემი ენობრივი კომპეტენციები ქართულ ენის პროგრამის დასრულებისთვის</b> |   |   |   |   |   |   |   |
| <i>შეაფასეთ 0-დან 5-მდე შესაძლებლობის და შესაბამისობის მიხედვით</i>          |   |   |   |   |   |   |   |
| 1  | ქართული ენის გამოყენება სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში (მაღაზიაში, ტრანსპორტში, კაფეში, მეგობართა და თანაკურსელთა წრეში და ა.შ.)  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

|   |  |   |   |   |   |   |   |
|---|--|---|---|---|---|---|---|
| 2 | ქართულ ენაზე სხვადასხვა ჟანრის მასალის კითხვა (ლექსი, ლიტერატურული ნაწარმოები, პუბლიცისტური ესსე, აკადემიური ლიტერატურა, გაზეთი ჟურნალი) ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვა | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3 | კონკრეტული საკითხის კრიტიკული გააზრება და საკითხის გარშემო ქართულად ზეპირი პრეზენტაციის ან საჯარო განცხადების გაკეთება   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4 | წაკითხული მასალის კრიტიკული ანალიზის შედეგად ესსეს, აკადემიური ნაშრომის, პუბლიცისტური წერილის, პროფესიული წერილის დაწერა ქართულ ენაზე  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5 | საჯარო გამოსვლების, ლექციების, ტელეგადაცემები, რადიოგადაცემების, სპექტაკლების, ფილმების მოსმენა, გაგება და გააზრება ქართულ ენაზე   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

|   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| <b>C7. პროგრამის ზოგადი შეფასება</b>                              |   |   |   |   |   |   |   |
| <i>შეფასეთ 0-დან 5-მდე ეფექტურობისა და შესაბამისობის მიხედვით</i> |   |   |   |   |   |   |   |
| 1   | საბაკალავრო პროგრამაზე სწავლებისთვის აუცილებელია ენობრივი კომპეტენციები | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2   | საბაკალავრო პროგრამაზე სწავლებისთვის აუცილებელი აკადემიური უნარები      | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3   | საბაკალავრო სწავლებისთვის აუცილებელი სოციალური უნარები                  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4   | საუნിവერსიტეტო აკადემიური ცხოვრებისთვის ადაპტაციის შესაძლებლობა         | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**D პროგრამის დასრულების შემდგომი პერიოდი**

**D1 შემოხაზით რელევანტური პასუხი:**

1. მე ვაპირებ საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარებას → გადადით D2
2. მე ამჟამად ვსწავლობ საბაკალავრო პროგრამაზე → გადადით D3
3. მე უკვე დავამთავრე საბაკალავრო პროგრამა → გადადით D5

4. სხვა (დააზუსტეთ) \_\_\_\_\_ → გადადით D7

99. უარი პასუხზე → გადადით D7

**D2. გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა, რომელ ფაკულტეტზე აპირებთ სწავლის გაგრძელებას?**

ა. ~~დიახ~~ გადადით D2.1

ბ. არა → გადადით D7

გ. არ ვიცი გადადით D7

დ. უარი პასუხზე გადადით D7

**D2.1. დაასახელეთ საბაკალავრო პროგრამა, რომელზეც აპირებთ სწავლის გაგრძელებას:**

ფაკულტეტი \_\_\_\_\_

პროგრამა \_\_\_\_\_

**D3 დაასახელეთ ფაკულტეტი და საბაკალავრო პროგრამა, რომელზეც ამჟამად სწავლობთ**

ფაკულტეტი \_\_\_\_\_

პროგრამა \_\_\_\_\_

**D4 აპირებთ თუ არა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას?**

ა. დიახ → გადადით D4.1

ბ. არა → გადადით D6

გ. არ ვიცი → გადადით D6

დ. უარი პასუხზე → გადადით D6

**D4.1** გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა, რომელ უნივერსიტეტში და რომელ პროგრამაზე გინდათ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას?

ა. დიახ → გადადით D4.2

ბ. არა → გადადით D6

გ. არ ვიცი → გადადით D6

დ. უარი პასუხზე → გადადით D6

**D4.2** დაასახელეთ უნივერსიტეტი და სამაგისტრო პროგრამა, რომელზეც აპირებთ სწავლის გაგრძელებას

უნივერსიტეტი \_\_\_\_\_

პროგრამა \_\_\_\_\_

**D5** სწავლობთ თუ არა ამჟამად მაგისტრატურაში?

ა. დიახ → გადადით D5.1

ბ. არა → გადადით D6

გ. არ ვიცი → გადადით D6

დ. უარი პასუხზე → გადადით D6

**D5.1** დაასახელეთ უნივერსიტეტი და საბაკალავრო პროგრამა, რომელიც დაამთავრეთ

უნივერსიტეტი \_\_\_\_\_

პროგრამა \_\_\_\_\_

**D5.2** დაასახელეთ უნივერსიტეტი და სამაგისტრო პროგრამა, რომელზეც ამჟამად სწავლობთ

უნივერსიტეტი \_\_\_\_\_

პროგრამა \_\_\_\_\_

**D6. რატომ გადაწყვიტეთ უკანასკნელი კონკრეტული პროგრამის არჩევა? (საბაკალვრო ან სამაგისტრო)**

დებულების მნიშვნელობის მიხედვით მიანიჭეთ მას 0-დან (სრულიად არ არის მართებული) 5-მდე (მალიან მნიშვნელოვანია ქულა და შემოხაზეთ შესაბამისი რიცხვი

|   |  |   |   |   |   |   |   |
|---|--|---|---|---|---|---|---|
| 1 | მე ბავშვობიდან ვოცნებობდი ამ პროფესიაზე  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2 | ეს ძალიან პრესტიჟული პროფესიაა   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3 | ჩემს მშობლებს/ნათესავებს უნდათ, რომ ეს პროფესია ავირჩიო  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4 | ამ პროფესიით უფრო ადვილად ვიშოვი სამსახურს   | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5 | ეს პროფესია მაღალანაზღაურებადია, მომავალში აუცილებლად მაღალი ხელფასი მექნება                     | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | ამ პროგრამაზე სწავლა უფრო ადვილი იქნება ჩემთვის ქართულის არასაკმარისი ცოდნის მიუხედავად          | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7 | მე ვხედავ, რომ ამ პროფესიაზე დიდი მოთხოვნაა, სტუდენტი კი ცოტა აბარებს. ეს პროფესია პერსპექტიულია | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 8 | სხვა, დააკონკრეტეთ: _____  | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 9 | თავს ვიკავებ პასუხისგან (შემოხაზეთ 0 გრაფაში )   |   |   |   |   |   |   |

**D7A რა რეკომენდაცია გექნებათ ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გასაუმჯობესებლად!**

---

**D8 ხომ არ გსურთ რაიმეს დამატება:**

---



---



---

**დიდი მადლობა მონაწილეობისთვის!!!**

ინტერვიუერის შენიშვნები:

---

---

---

შემოწმებულია ველის მენეჯერის მიერ:

ხელმოწერა \_\_\_\_\_

სახელი, გვარი \_\_\_\_\_